

ღირებულებები - კონცეფცია, კვლევა და ალტერნატიული მიდგომა

ლევან თარხნიშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების და ხელოვნების
ინტერდისციპლინარული სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიგი თევზაძე, დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2013**

განცხადება

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლევან თარხნიშვილი, 23 ივნისი 2013 წლის

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი განიხილავს ღირებულებებს და მათ როლს საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაში. კერძოდ კი მოდერნიზაციის თეორია და მისი განვითარების სტადიები, მოდერნიზაცია და დემოკრატიული განვითარება, ღირებულებების კლასიფიკაცია და მისი ცვლილებები.

სოციალურ მეცნიერებებში ღირებულების ცნებას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. ღირებულებები მნიშვნელოვანია, როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე. სწორედ ღირებულებების გარშემო ხდება საზოგადოებისა და მისი ცალკეული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და განვითარება. ღირებულებები და ფასეულობები განსაზღვრავენ თუ განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება საზოგადოება, სახელმწიფო - მისი ცალკეული ინსტიტუცია თუ ინდივიდუუმი. ფასეულობათა გარშემო ყოველდღე მიმდინარეობს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული დისკუსია და შედარება.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ამერიკელი პოლიტოლოგის რონალდ ინგლეჰარტის კონცეპციის და ფენომენოლოგიური სოციოლოგიის, უფრო კონკრეტულად კი ცოდნის სოციოლოგიის ლუკმან-ბერგერისეული ვერსიის შედარება. ამ ნაშრომში ჩვენ შევეცდებით დადებით მხარეებთან ერთად ამ კონცეპციის სისუტეებიც წარმოვაჩინოთ და გარკვეულწილად ღირებულებების კვლევის ალტერნატიული გზაც შემოგთავაზოთ განსჯისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ღირებულება, ტრანსფორმაცია, საქართველოს საზოგადოება

Abstract

This article discusses values and their role in forming and developing different societies. In the article we address basic theoretical issues: in particular modernization theory and stages in its development, modernization and democracy development, the classification of values and their changes, as well as results of the World Values Surveys. Also, we consider methodological difficulties and problems related to the surveys and in conclusion we offer a complementary methodological approach in studying values and their development.

The notion of value takes a prominent place in social science. Values are important at both macro and micro levels. Societies and their individual institutions are formed around the values, the values help define at which level of development is a society, nation, individual institution or person. Every day theoretical and practical discussion and comparison of values take place.

As a result, based on the presence of certain values and the structure of their hierarchy the stage of social development can be defined and compared to previous stages. When they try to classify values and based on that diagnose the stage of social development, most often people refer to the concept of American political scientist Ronald Inglehart. In this article we

try to demonstrate both strengths and weaknesses of this concept and to a certain extent offer for your consideration an alternative path for values studies.

Key Words Value, transition, Georgia, society.

სარჩევი

განცხადება	2
აბსტრაქტი	3
სარჩევი.....	5
ცხრილების ჩამონათვალი	5
შესავალი.....	7
ლიტერტურის მიმოხილვა.....	8
ღირებულებების კლასიფიკაცია და ცვლილებები.....	11
მოდერნიზაცია და დემოკრატიის განვითარება	14
ქვეყნის ჯგუფები	22
თავი I - მეთოდოლოგია	22
თავი II ანალიზი.....	23
მონაცემები და წყაროები.....	24
კულტურული ზონები.....	25
კაცობრიობის განვითარების გენეზისი	26
შედეგები.....	28
თავი III კრიტიკა და ალტერნატივა	31
დასკვნა.....	44
ბიბლიოგრაფია.....	46
დანართი № 1	48
დანართი № 2 ღირებულებების სია.....	49
დანართი № 3 გრაფიკები	50

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1 რელიგიის როლი გადაწყვეტილებების მიღებაში.....	36
ცხრილი 2 ნდობის ხარისხი.....	37
ცხრილი 3 ქალი და პოლიტიკა.....	44

შესავალი

სოციალურ მეცნიერებებში ღირებულების ცნებას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. უნდა აღინიშნოს, რომ ღირებულებათა ცნების განსაზღვრებისას არ არსებობს ერთიანი მიდგომა, თუმცა სოციოლოგიაში ყველაზე ხშირად ამერიკელი მკვლევარის კლაიდ კლუკჰონის განსაზღვრებას მიმართავენ. ამ კონცეფციის თანახმად “ღირებულება არის წარმოდგენა სასურველის შესახებ, რომელიც ახასიათებს ინდივიდს ან ჯგუფს და რომელიც გავლენას ახდენს მოქმედების ტიპის, საშუალებებისა და მიზნების არჩევანზე.”¹

ღირებულებები მნიშვნელოვანია, როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე. სწორედ ღირებულებების გარშემო ხდება საზოგადოებისა და მისი ცალკეული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და განვითარება. ღირებულებები და ფასეულობები განსაზღვრავენ თუ განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება საზოგადოება, სახელმწიფო - მისი ცალკეული ინსტიტუცია თუ ინდივიდუუმი. ფასეულობათა გარშემო ყოველდღე მიმდინარეობს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული დისკუსია და შედარება. გარკვეული სოციალური ჯგუფისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახია, სხვებისთვის სამუშაო და კარიერა თამაშობს დომინანტურ როლს, ერთი პოლიტიკური ძალა აღნიშნავს, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია თანასწორობა, სხვები პიროვნების თავისუფლებას ანიჭებენ უპირატესობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ღირებულებები ერთმანეთთან მუდმივ ურთიერთკავშირში არიან და ამის გამო მათი შესწავლა უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლებელია რომელიმე ერთი რომელიმე ღირებულება ამოვლიჯოთ საზოგადოების განვითარების კონტექსტიდან და განვიხილოთ სხვა ღირებულებებისგან დამოუკიდებლად - სტერილურ გარემოში. ასევე აუცილებელია ღირებულებების შესწავლა მოხდეს დინამიკაში და ატარებდეს სისტემატურ ხასიათს. ამის აუცილებლობას ქმნის ღირებულებებისა და მათი ერაქციის მუდმივი განვითარება. ცალკეული ღირებულება ისევე, როგორც მათი ერაქცია სტატიკური ხასიათის არ არის, ეს სისტემა მუდმივ განვითარებას და ცვლილებას განიცდის. ამ სისტემის განვითარების შეჩერება, მთლიანად საზოგადოების განვითარების შეწყვეტას და შემდგომ მის დეგრადაციას იწვევს.

შესაბამისად, ამა თუ იმ ღირებულების არსებობის და მათი ერაქციისა სტრუქტურის მიხედვით სავსებით შესაძლებელია საზოგადოების განვითარების ეტაპის დადგენა და მისი შედარება განვილილ ეტაპებთან. ღირებულებათა კლასიფიცირების და ამის მიხედვით საზოგადოების განვითარების ეტაპის დიაგნოსტიკისას ყველაზე ხშირად ამერიკელი პოლიტოლოგის რონალდ ინგლეჰარტის კონცეფციას მიმართავენ. თუმცა ამ ნაშრომში ჩვენ შევეცდებით დადებით მხარეებთან ერთად ამ კონცეფციის სისუტეებიც წარმოვაჩინოთ და გარკვეულწილად ღირებულებების კვლევის ალტერნატიული გზაც შემოგთავაზოთ განსჯისთვის.

¹ C. Kluckhohn, “Values and value-orientations in the theory of action. An exploration in definition and classification”, in: T. Parsons, E. A. Shils (Ed.), *Toward a General Theory of Action*, Harvard 1951, 395.

ლიტერტურის მიმოხილვა

ბოლო დეკადის განმავლობაში მოდერნიზაციის თეორია კვლავ მოექცა მეცნიერებისა და პრაქტიკოსების ყურადღების ცენტრში. შესაძლებელია ითქვას, რომ მსოფლიო ღირებულებების კვლევამ ამ თეორიის განვითარებას და ცვლილებას ახალი ბიძგი მისცა. ლოგორც ცნობილია მოდერნიზაციის თეორიის მომხრეები ორ ძირითად სკოლად შეიძლება დავყოთ. პირველი მათგანის წარმომადგენლები მოყოლებული კარლ მარქსიდან და დანიელ ბელამდე დასრულებული ამტკიცებდნენ, რომ მთავარი ეკონომიკური განვითარებაა და სწორედ მას მოსდევს მასშტაბური კულტურული ცვლილებები. მეორე მიმდინარეობის წარმომადგენლები დაწყებული მაქს ვებერით და დამთავრებული სემუელ ჰანტინგტონით ამტკიცებდნენ, რომ განვითარების მამოძრავებელი ძალა კულტურულ ღირებულებებებია და სწორედ მათ გააჩნიათ ხანგრძლივი და ავტონომიური გავლენა საზოგადოებაზე და მის განვითარებაზე.

მსოფლიო ღირებულებათა მკვლევართა აზრით “ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია შემოტრიალებასთან აბსოლუტური ნორმებისა და ღირებულებისგან ისეთი ღირებულებებისაკენ, რომლებიც უფრო რაციონალური, ტოლერანტული, ნდობაზე დაფუძნებული და მონაწილეობითია.”² (რონალდ ინგლეჰარტი, უეინ ე. ბეიკერი 2000). ამავე დროს მათი აზრით კულტურული ხასიათის ცვლილებები დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების მიერ არჩეულ განვითარების გზაზე. საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობა – პროტესტანტული, კათოლიკური, მართლმადიდებლური, კონფუციური თუ კომუნისტური – კვალს ტოვებს ღირებულებებზე, რომლებიც აგრძელებენ არსებობას მოდერნიზაციის მიუხედავად. მეტიც, “განსხვავება ერთი საზოგადოების სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლების ღირებულებებში უფრო მცირეა, ვიდრე სხვადასხვა ქვეყნების საზოგადოებს შორის. დამკვიდრების შემდეგ ასეთი კულტურული განსხვავებები ეროვნული კულტურის ნაწილი ხდება, რომლებიც აისახება საგანმანათლებლო ინსტიტუტებისა და მასმედის მიერ.”³

მოდერნიზაციის თეორიის უმთავრესი კონცეფცია - ინდუსტრიალიზაცია წარმოქმნის გავრცელებად სოციალურ და კულტურულ შედეგებს, რაც გამოიხატება განათლების ხარისხის ზრდაში თუ გენდერული როლების ცვლილებაში. ინდუსტრიალიზაცია აღიქმება მოდერნიზაციის პროცესის ცენტრალურ ელემენტად, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების თითქმის ყველა ელემენტზე. მოკლედ, რომ ვთქვათ ფასეულობის მკვლევართა აზრით ეკონომიკურ განვითარებას მოჰყვება სისტემური და გარკვეულწილად პროგნოზირებადი კულტურული და პოლიტიკური შედეგები.

მოდერნიზაციის თეორიის ცენტრალური აზრი შემდეგია: ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია თანმიმდევრულ და გარკვეულწილად პროგნოზირებად ცვლილებებთან კულტურაში და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

² Ronald Inglehart and Wayne E. Baker, “Modernization, cultural change, and the persistence of traditional values, in: American Sociological Review, 2000, Vol. 65 (February:19–51) 19.

³ იქვე

ინდუსტრიალიზაცია იწვევს პროფესიულ სპეციალიზაციას, განათლების დონის ზრდას, შემოსავლების დონის ზრდას (ტრადიციული საზოგადოება გარდაიქმნება ინდუსტრიულად) და ბოლოს იწვევს დაუგეგმავ ცვლილებებს: გენდერულ როლებში, ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებაში და სექსუალურ ნორმებში, შობადობის დონის შემცირებას, პოლიტიკაში ფართო საზოგადოების მონაწილეობას და ნაკლებად მართვად საზოგადოებას (ინდუსტრიული საზოგადოება გარდაიქმნება პოსტინდუსტრიულად). ასეთი ტიპის საზოგადოებაში სამუშაო ძალის უმრავლესობა დაკავებულია მომსახურების სფეროში. შედარებისთვის ავლნიშნავთ, რომ ტრადიციულ საზოგადოებაში სამუშაო ძალის აბსოლუტური უმრავლესობა აგრარულ სექტორში საქმიანობს, ხოლო ინდუსტრიულში, კი წარმოებაში. სამომხმარებლო სფეროში სამუშაო ძალის უმრავლესობის კონცენტრაციის ფაქტი პირველად 1956 წელს აშშ დაფიქსირდა. შემდგომი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრაქტიკულად ყველა წევრ-ქვეყანაში იგივე მოხდა, რითაც ისინი “პოსტ-ინდუსტრიულ” საზოგადოებებად იქცნენ ბელის ტერმინით.⁴

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მოდერნიზაციის მიერ მოყვანილი სამი საზოგადოება შეიძლება შემდეგი განმარტებებით დავახასიათოდ.

ტრადიციული საზოგადოება - დაფუძნებულია გადარჩენაზე. მასში რელიგიის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. პერიოდი, როდესაც საზოგადოებაში ტრადიციული ფასეულობები დომინირებს შეიძლება დახასიათდეს, როგორც “თამაში ბუნების წინააღმდეგ”, რომელშიც “ადამიანის მიერ სამყაროს შეგრძნება განპირობებულია ბუნებრივი კატასტროფებით, როგორცაა: წლის დრო, ქარიშხალი, ნიადაგის ნაყოფიერება, წყლის რაოდენობა, მადაროს სიღრმე, გვალვა და წყალდღობა”⁵

ინდუსტრიული საზოგადოება - აკეთებს აქცენტს ეკონომიკურ ზრდაზე თითქმის ნებისმიერ ფასად. ამ საზოგადოებაში ტექნიკური, მექანიკური, რაციონალიზირებული, ბიუროკრატიული სამყარო მიმართულია გარემოს დომინირებისა და ბუნებრივი კატასტროფების როლის შემცირებისკენ. ამ პერიოდს ბელი უწოდებს “გამოგონებები ბუნების წინააღმდეგ”⁶, რომელიც ადამიანის მიერ ბუნებაზე კონტროლის ზრდასთან ერთად შემცირდა რელიგიისა და ღმერთისადმი მინიჭებული როლი. წარმოიშვა მატერიალისტური იდეოლოგიები ისტორიის სეკულარული ინტერპრეტაციით და კაცობრიობას უნდა მიეღწია სეკულარული უტოპიებისთვის ადამიანის ინჟინრული აზრის მეშვეობით, რომელიც მოქმედებს რაციონალურად ორგანიზებული ბიუროკრატიული ორგანიზაციების მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ ბიუროკრატიული ანუ იერარქიული ორგანიზაცია მკაცრად განსაზღვრავს ამა თუ იმ ინდივიდუუმის როლს და ამით ამცირებს დამოუკიდებლობად

⁴ Bell, Daniel, “The Coming of Post-Industrial Society” 1973; “The Cultural Contradictions of Capitalism.”, 1976 New York: Basic Books.

⁵ იქვე

⁶ იქვე

განსჯის აუცილებლობას, უფრო მეტიც ასეთი საზოგადოება დამოუკიდებელ განსჯას არ მიესალმება.⁷

პოსტინდუსტრიული საზოგადოება - მზარდად ამახვილებს ყურადღებას ცხოვრების ხარისხზე, გარემოს დაცვასა და თვითგამოხატვაზე. ბელი ხაზს უსვამდა ცვლილებებს სამუშაოს სპეციფიკაში, ხოლო ინგლეჰარტი ეკონომიკური უსაფრთხოების შედეგებს; ცხოვრება პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კონცენტრირებულია მომსახურებაზე და აქედან გამომდინარე ცხოვრება იქცევა “თამაშად ადამიანებს შორის”, რომელშიც ადამიანები “ბუნებისგან სულ უფრო დაშორებით ცხოვრობენ და სულ უფრო ახლოს მანქანებთან და ნივთებთან; ადამიანები ერთმანეთთან ცხოვრობენ და აწყდებიან მხოლოდ ერთმანეთს”⁸. უფრო ნაკლები მცდელობაა მიმართული მატერიალური ნივთების საწარმოებლად და უფრო მეტი – კომუნიკაციასა და ინფორმაციის დამუშავებზე. ადამიანთა უმრავლესობა პროდუქტიული საათების დიდ ნაწილს უთმობს სხვა ადამიანებთან და სიმბოლოებთან ურთიერთობას. სულ უფრო მეტად ადამიანის განათლება და სამუშაო გამოცდილება უვითარებს მას პოტენციალს მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები.⁹ ამდენად, პოსტინდუსტრიული საზოგადოების აღზევება იწვევს მზარდად ყურადღების გამახვილებას თვითგამოხატვაზე.¹⁰ მომსახურების სფეროს მუშაკებს უწევთ ადამიანებთან და იდეებთან ურთიერთობა; ისინი მუშაობენ ისეთ სამყაროში, სადაც სიახლე და ინდივიდუალური მსჯელობის უნარით სარგებლობის თავისუფლება არსებითად მნიშვნელოვანია. თვითგამოხატვა იკავებს ცენტრალურ ადგილს. ასეთი ტიპის საზოგადოებაში ეკონომიკური დოვლათა უზრუნველყოფილი და გადანაწილებულია, ინდივიდს არ უწევს ბრძოლა გადარჩენისთვის. შესაბამისად მოსახლეობის ღირებულებების პრიორიტეტი ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოებიდან სულ უფრო გადადის სუბიექტურ კეთილდღეობაზე და ცხოვრების ხარისხზე.¹¹ პოსტმოდერნისტული მსოფლმხედველობა დაკავშირებულია სექსისა და რეპროდუქციისადმი მკაცრი რელიგიური ნორმების სულ უფრო ნაკლებად მიღებასთან და აბსოლუტური წესების საჭიროების შემცირებასთან. თუმცა მას ასევე მოაქვს მზარდი დაინტერესება ცხოვრების მნიშვნელობითა და დანიშნულებით.

მოკლედ, რომ შევაჯამოთ კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში საქმე გვაქვს ორ გარდაქმნასთან - 1. ტრადიციულიდან ინდუსტრიულზე - ადრეულ ინდუსტრიალიზაცია და მუშათა კლასის აღზევება და 2. ინდუსტრიულიდან - პოსტინდუსტრიულზე - რომლებიც დაკავშირებულია მოწინავე ინდუსტრიული

⁷ Ronald Inglehart and Wayne E. Baker, “Modernization, cultural change, and the persistence of traditional values, in: American Sociological Review, 2000, Vol. 65 (February:19–51) 19

⁸ Bell, Daniel, “The Coming of Post-Industrial Society” 1973; “The Cultural Contradictions of Capitalism.”, 1976 New York: Basic Books.

⁹ იქვე

¹⁰ Inglehart, Ronald, “Modernization and Postmodernization: Cultural, Economic and Political Change in 43 Societies”. Princeton, NJ: Princeton University Press, 1997.

¹¹ Inglehart, Ronald, “The Silent Revolution: Changing Values and Political Styles in Advanced Industrial Society”. Princeton, NJ: Princeton University Press 1977 and Inglehart, Ronald, “Modernization and Postmodernization: Cultural, Economic and Political Change in 43 Societies”. Princeton, NJ: Princeton University Press, 1997.

ქვეყნების მდიდარ ყოფასთან და მომსახურებისა და ცოდნის სექტორების აღმავლობასთან.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვლევებმა და თეორიებმა საფუძველი დაუდეს ორი დაპირისპირებული აზრის სკოლას. ერთი სკოლა განსაკუთრებულად ხაზს უსვავს ღირებულებების *შერწყმას* “მოდერნიზაციის” შედეგად, დაუძლეველი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების ზემოქმედების პირობებში, რომლებიც იწვევენ კულტურულ ცვლილებას. ეს სკოლა წინასწარმეტყველებს ტრადიციული ღირებულებების დაცემას და მათ ჩანაცვლებას “თანამედროვე (მოდერნისტული)” ღირებულებებით.¹²

მეორე სკოლა კი ხაზს უსვამს ტრადიციული ღირებულებების *ურყეობას*, მიუხედავად ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებებისა. ამ სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ღირებულებები შედარებით **დამოუკიდებელია ეკონომიკური პირობებისგან**.¹³ შესაბამისად, ამ სკოლის წინასწარმეტყველებით, შერწყმის შედეგად რაიმე “თანამედროვე (მოდერნისტული)” ღირებულებების წარმოშობა ნაკლებად სავარაუდოა და ტრადიციული ღირებულებები განაგრძობენ დამოუკიდებელ ზეგავლენას კულტურულ ცვლილებებზე, რომლებიც გამოიწვია ეკონომიკურმა განვითარებამ.

ღირებულებების კლასიფიკაცია და ცვლილებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ღირებულებების ჯგუფია დომინანტური. მსოფლიოს ღირებულებათა მკვლევარების მიხედვით შესაძლოა გამოიყოს ორი დაპირისპირებული ჯგუფი - ტრადიციული - სეკულარულ-რაციონალური და გადარჩენა-თვითგამოხატვა.

ტრადიციული ღირებულებები - ტრადიციული ღირებულებებით დომინანტური საზოგადოება ნაკლებად ტოლერანტული აბორტის, განქორწინებისა და ჰომოსექსუალიზმის მიმართ. საზოგადოებაში გამოკვეთილია მამაკაცების დომინირება პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, პატივისცემა მშობლების ავტორიტეტის და ოჯახური ცხოვრების მიმართ. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებას აქვს მიდრეკილება შედარებით ავტორიტარული მმართველობისადმი, ასევე დიდია რელიგიის როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

ტრადიციულ საზოგადოებებში ადამიანის ცხოვრების მთავარი მიზანია, რომ მისით მშობლები ამაყობდნენ – ადამიანს მშობლები მუდამ უნდა უყვარდეს და პატივს სცემდეს მათ, მიუხედავად მათი ქცევისა. ასევე პირიქით, მშობლებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ შვილებისთვის, თუნდაც საკუთარი კეთილდღეობის ფასად.

¹² Ronald Inglehart and Wayne E. Baker, “Modernization, cultural change, and the persistence of traditional values, in: American Sociological Review, 2000, Vol. 65 (February:19–51) 19
¹³ DiMaggio, Paul, “Culture and Economy.” Pp. 27–57 in The Handbook of Economic Sociology, edited by N. J. Smelser and R. Swedberg. Princeton, NJ: Princeton University Press, 1994.

ტრადიციულ საზოგადოებებში ხალხი აიდეალებს დიდ ოჯახს და მათ ჰყავთ კიდევაც დიდი ოჯახები. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული საზოგადოების წევრები გამოირჩევიან ეროვნული სიამაყის მაღალი დონით, უპირატესობას ანიჭებენ ხელისუფლების პატივისცემას, იკავებენ პროტექციონისტურ პოზიციას საგარეო ვაჭრობის მიმართ, ისინი პასიურად არიან განწყობილი ეროვნული ხელისუფლების მიმართ: იშვიათად ან არასოდეს მსჯელობენ პოლიტიკაზე. ასევე ისინი უარყოფითად უყურებენ განქორწინებას, აბორტს, ევტანაზიასა და თვითმკვლელობას. ასეთი საზოგადოებები ყურადღებას ამახვილებენ უფრო სოციალურ შეწყობაზე და არა ინდივიდუალურ მისწრაფებებზე, უპირატესობას ანიჭებენ კონსენსუსს და არა ღია პოლიტიკურ კონფლიქტს, მხარს უჭერენ ხელისუფლების პატივისცემას და ახასიათებთ ეროვნული სიამაყის მაღალი დონე, გამოირჩევიან ნაციონალისტური შეხედულებებით.¹⁴

სეკულარული ღირებულებების დომინირების დროს საზოგადოებაში ზემოთ ჩამოთვლილი ტრადიციული ღირებულებების როლი მნიშვნელოვნად მცირდება და მნიშვნელოვან როლს უკვე პიროვნებაზე დაყრდნობილი და ორიენტირებული ღირებულებები იკავებენ.

გადარჩენის ღირებულებები - იმ ქვეყნებში, სადაც უსაფრთხოება არ არის უზრუნველყოფილი და კეთილდღეობის დაბალი დონეა, ხალხი ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკურ და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე, ვიდრე სხვა მიზნებზე, და საშიშროებას ხედავენ უცხოელებში, ეთნიკურ მრავალფეროვნებაში და კულტურულ ცვლილებებში. ეს იწვევს შეუმწყნარებლობას ჰომოსექსუალების და სოციუმისთვის სხვა „უცხო“ ჯგუფების მიმართ, ტრადიციული გენდერული როლების შენარჩუნების დაჟინებით მოთხოვნას და ავტორიტარულ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. ეს საზოგადოებები ხასიათდებიან სუბიექტური კეთილდღეობის შედარებით დაბალი ხარისხით, პიროვნებებს შორის ნაკლები ნდობით, შედარებით ნაკლები შემწყნარებლობით საზოგადოებისთვის უცხო ჯგუფების მიმართ, გენდერული თანასწორობის ნაკლები მხარდაჭერით, ხოლო ყურადღების ცენტრშია მატერიალური ღირებულებები, იჩენენ შედარებით მაღალი ხარისხის ნდობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართ, ახასიათებთ შედარებით დაბალი აქტივობა გარემოსდაცვითი საკითხებისადმი და ანიჭებენ მეტ უპირატესობას ავტორიტარულ მმართველობას და ნაცნობ ნორმებს, რათა მაქსიმუმამდე გაიზარდოს სუბიექტური სტაბილურობისა და სიმყარის გრძნობა არამყარ სამყაროში.

თვითგამოხატვის ღირებულება - ეს ღირებულებები აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც გადარჩენა გარანტირებულია. ამ პერიოდში ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება სულ უფრო მისაღები ხდება, ”მართლაც, გარკვეული ზღვარის შემდეგ მრავალფეროვნება არა მხოლოდ მისაღებია, არამედ შეიძლება დადებითად შეფასდეს, რადგან იგი საინტერესოა და სტიმულის მომცემი. მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებებში ხალხი ცდილობს უცხოურ რესტორნებში ისადილოს ახალი სამზარეულოს კერძების გასინჯვის მიზნით; ადამიანები დიდ ფულს იხდიან და შორ მანძილზე მოგზაურობენ ეგზოტიკური კულტურების

¹⁴ Ronald Inglehart and Wayne E. Baker, “Modernization, cultural change, and the persistence of traditional values, in: American Sociological Review, 2000, Vol. 65 (February:19–51) 19

გასაცნობად. გენდერული როლების და სექსუალური ნორმების ცვლილება აღარ ეჩვენებათ საფრთხედ.”¹⁵

რონალდ ინგლეჰარტის და უინ ე. ბეიკერის მიხედვით გასულ რამდენიმე ათწლეულში ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ცვლილება მოხდა კაცობრიობის აღწერილ ისტორიაში – ახალი გენდერული როლების გამოჩენა, რამაც საშუალება მისცა ქალებს შეასრულონ მამაკაცებთან ერთად იგივე სამუშაო. განვითარებული საზოგადოებები მოითხოვენ თანაბარ უფლებებს ქალებისთვის, ჰომოსექსუალებისთვის, უცხოელებსა და სხვა საზოგადოებისთვის „უცხო“ ჯგუფებისთვის. ეს ღირებულებები უარყოფილია იმ საზოგადოებებში, სადაც გადარჩენის საკითხი არ არის გადაწყვეტილი, და მეტად მისაღებია საზოგადოებებში, სადაც ყურადღება თვითგამოხატვის ღირებულებებზეა გამახვილებული. ტრადიციული/სეკულარულ-რაციონალური განზომილება უკავშირდება სამიწათმოქმედო საზოგადოებიდან ინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლას. ხოლო გადარჩენა/თვითგამოხატვა კი პოსტინდუსტრიულზე გადასვლას.

ავტორების აზრით თანამედროვე ღირებულებებზე გადასვლის ტენდენცია არ არის შეუქცევადი. თუმცა ინდუსტრიულ ქვეყნებში ასეთი ტენდენცია დომინირებს, ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა კოლაფსმა, რომელიც თავს დაატყდა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს 1980-90-იან წლებში, ნამდვილად საპირისპირო ტენდენცია გამოიწვია, რითაც მოიტანა გაჭირვება, უნდობლობა და ავტორიტარული ნაციონალიზმი.

ინდუსტრიალიზაცია ხელს უწყობს ტრადიციული ღირებულებებიდან სეკულარულ-რაციონალურ ღირებულებებზე გადასვლას, ხოლო პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების აღზევება იწვევს მეტ ნდობას, შემწყნარებლობას, კეთილდღეობას და პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებებზე გადასვლას, ხოლო ეკონომიკურ ვარდნას საზოგადოება საპირისპირო მიმართულებით მიჰყავს.

ინდუსტრიული საზოგადოების აღზევება დაკავშირებულია კულტურულ ცვლილებებთან ტრადიციული ღირებულების სისტემებთან დაშორების ტენდენციით; პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების აღზევება უკავშირდება აბსოლუტური ნორმებიდან და ღირებულებებიდან დაშორებას მზარდად რაციონალური, შემწყნარებლური, პოსტ-ინდუსტრიული ღირებულებების მიმართულებით.

სეკულარიზაციის თეზისი ძალზე გამარტივებულია. მსოფლიოს ღირებულებათა მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი ეხება ძირითადად ინდუსტრილიზაციის ეტაპს – გადასვლას აგრარული საზოგადოებიდან ინდუსტრიულ საზოგადოებაზე, რომელიც გარკვეული პერიოდის წინ დასრულდა დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობაში.

¹⁵ იქვე

არსებობს ორი ჰიპოთეზა თუ რატომ ხდება გადასვლა ეკონომიკურ და ფიზიკურ უსაფრთხოებიდან თვითგამოხატვასა და ყურადღების გამახვილება ცხოვრების ხარისხსზე.

- *არასაკმარისობის ჰიპოთეზა.* პიროვნების პრიორიტეტები ასახავს სოციო-ეკონომიკურ გარემოს. პიროვნება უდიდეს სუბიექტურ ღირებულებად აქცევს იმას, რაც შედარებით დეფიციტურია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ პიროვნება ცდილობს მოიპოვოს ის რაც არ აქვს – არ გააჩნდა ელემენტალური საზრდო ცდილობდა საკვების მოპოვებას, მოიძია საკვები დაკმაყოფილი შიმშილის გრძნობა და ახლა ეძიებს სხვა რაიმეს. არასაკმარისობის ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ მიმდინარე ეკონომიკურ განვითარებას მოჰყვება მნიშვნელოვანი შედეგები. ანუ საჭიროა თაობის ცვლა, რომ ღირებულებითი ცვლილება რეალური გახდეს.

- *სოციალიზაციის ჰიპოთეზა.* სოციო-ეკონომიკურ გარემოსა და ღირებულებათა პრიორიტეტს შორის ურთიერთკავშირი მყისიერად არ რეგულირდება; დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთი არის საჭირო, რომ პიროვნების ძირითად ღირებულებებში აისახოს ის პირობები, რომლებშიც უხდებოდა პიროვნებას ცხოვრება ზრდასრულ ასაკამდე.

რეალურად ეს ორი ჰიპოთეზა მყარ ურთიერთკავშირშია არასაკმარისობის ჰიპოთეზას ემატება სოციალიზაციის ჰიპოთეზა: პიროვნების ძირითადი სტრუქტურა ყალიბდება ადამიანის მიერ ზრდასრული ასაკის მიღწევამდე და მას შემდეგ მცირე ცვლილებას განიცდის.

ერთად აღებული ეს ორი ჰიპოთეზა წარმოშობს ღირებულებების ცვლილებასთან დაკავშირებულ პროგნოზების კრებულს. კეთილდღეობა იწვევს პოსტმატერიალისტური ღირებულებების გავრცელებას, სოციალიზაციის ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ არც ადამიანის ინდივიდუალური ღირებულებები და არც მთლიანად საზოგადოების ღირებულებები ერთ დღეში არ შეიცვლება.

ასეთ შემთხვევაში გარდამავალ პერიოდში არსებობს დიდი სხვაობა ახალგაზრდა და ასაკოვანი თაობების ღირებულებებში. ხოლო როცა გარდაქმნა დამთავრდება ძირითადი მაჩვენებლები ასაკობრივ ჭრილში ერთნაირი ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში იცვლება პოლიტიკური მართვის წესი თუმცა პარტიებისადმი ლოიალურობა და არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობა შემცირდა, მაგრამ ხალხის მონაწილეობა პეტიციების ხელმოწერებში, პოლიტიკურ დემონსტრაციებში და ბოიკოტში უპრეცედენტო მაღალია. არსებული პოლიტიკური პარტიები კარგავენ უნარს გამოეყვანონ არჩევნების დღეს ამომრჩეველი, თუმცა ელიტისადმი საპროტესტო აქციების რიცხვი მყარად იზრდება.

მოდერნიზაცია და დემოკრატიის განვითარება

მეცნიერების წრეებში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი იმზე, თუ როგორი თანხვედრა აქვს ეკონომიკურ განვითარებას, დემოკრატიის ჩამოყალიბებას და ღირებულებების ცვლილებას. მსოფლიო ღირებულებების კვლევების ციკლმა მეცნიერებს საშუალება მისცა ეს თეორიული დიკუსია ემპირიული მონაცემებით გაემდიდრებინათ. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამან დადებით მოვლენებთან ერთად გამოიწვია თეორიის მორგება ემპირიულ მონაცემებზე.

ინგერჰარტის, ვესელის და ღირებულებათა კვლევის სხვა ფუძემდებლების მიხედვით, მოდერნიზაციის პროცესს განსაზღვრავს სამი კომპონენტის ურთიერ კავშირი. ეს კომპონენტებია - სოციო-ეკონომიკური განვითარება, მოქმედი ეფექტური დემოკრატია და თვითგამოხატვის ღირებულებები.

პროცესის სამი შემადგენელი კომპონენტი

სოციო-ეკონომიკურ განვითარება მოიცავს - ტექნოლოგიურ ინოვაციებს, პროდუქტიულობის გაზრდას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას, შემოსავლის ზრდას, განათლების დონის ზრდას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდას და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას¹⁶

ღირებულებების ცვლა - სოციო-ეკონომიკური განვითარება აფართოვებს ბაზარს და სოციალურ მობილიზაციას, რაც თავის მხრივ ახდენს ადამიანების აქტივობების (კომერციული აქტივობა და სამოქალაქო ცვალებადობა) დივერსიფიკაციას და ინტენსიფიცირებას. ეს აძლიერებს ჰორიზონტალურ პარტნიორულ ურთიერთობას და ასუსტებს ვერტიკალურ ავტორიტარულ ურთიერთობებს, რომლებიც ასუსტებენ ადამიანების ავტონომიას.

ადამიანების ავტონომიის გაფართოება აღწერილია რამოდენიმე ტერმინით სამოქალაქო კულტურის ჩამოყალიბება (ალმონდი და ვერბა); ინდივიდუალური მოდერნიზაცია (ინკელესი და სმიტი); პოსტმატერიალისტური ღირებულებები (ინგლეჰარტი); ლიბერალური ღირებულებები (ბრინტი, ფლანაგანი, ნევიტი); ანტროპოცენტრული ღირებულებები (ბურკლინი); და თვითგამოხატვის ღირებულებანი (ინლეჰარტი, ბაიკერი).¹⁷ ამ პროცესის შედეგად ტრადიციული ღირებულებები, რომლებიც ახდენენ ადამიანების ავტონომიის სუბორდინაციას ჯგუფის დისციპლინის მამართ, უკან იხევს და ადგილს უთმობს ემანსიპაციის ღირებულებების, რომლებიც ხაზს უსვამს ადამიანის არჩევანის მნიშვნელობას.

მესამე კომპონენტია *დემოკრატიზაცია*. აქ იგულისხმება ფორმალური დემოკრატიზაცია ანუ დემოკრატიული ინსტიტუტების შემოღება, რაც ჰანტინგტონს აღწერილი აქვს როგორც დემოკრატიზაციის მესამე ტალღა და ცვლილებები უკვე ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ სისტემებში ანუ პირდაპირი დემოკრატიის

¹⁶ Christian Welzel, Ronald Inglehart and Hans-Dieter Klingemann “The theory of human development: A cross-cultural analysis” in European Journal of Political Research 42: 341-379, 2003.

¹⁷ იქვე

ინსტიტუტების განვითარება და აღსრულება (კრონინი, სკაროუ) და პირდაპირი სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა (ბარნსი, ბუჯი, დალტონი, ნორისი).¹⁸

ავტორების მტკიცებით ეს სამივე კომპონენტი ერთდროულად. ვითარდება შეუძლებელია მხოლოდ ერთი ან ორი მათგანის განვითარება დანარჩენების გარეშე. *აქ უნდა აღინიშნოს, რომ გაურკვეველია რომელი რომელს იწვევს, მაგრამ ძალიან ადვილია პოსტ-ფაქტობრივი დაჯგუფება.* მათი მტკიცებით სამივე კომპონენტი ახდენს ურთიერთ ზეგავლენას.

ეს იდეები და პოსტულატები არ არის ახალი. ისინი დაწვრილებით არის აღწერილი მოდერნიზაციის კლასიკურ თეორიაში, ავტორები ლერნერი, ლიპსეტი, ქოლემაზი, პუე და დაიმონდი. ინგერჰარტმა და მისმა მიმდევრებმა პირველად გაამდიდრეს თეორია ემპირიული მონაცემებით. ეს მონაცემებიაღებულია ღირებულებების მსოფლიო კვლებიდან, რომლებიც წლების განმავლობაში პერიოდულად ტარდება და მოიცავს 180-მდე სახელმწიფოს. უკვე ჩატარებულია ხუთი ტალღა.

ავტორები აღწერენ იქამდე არსებულ თეორიებს და მიიჩნევენ, რომ ისინი კომპლექსურად არ აღწერენ სოციალური ცვლილების მოვლენებს. კერძოდ, მოდერნიზაციის თეორიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ არსებობს მჭიდრო ურთიერთობა სოციო-ეკონომიკურ განვითარების, დემოკრატიზაციის ხარისხისა და ემანსიპაციურ ღირებულებების შორის, მაგრამ ისინი ამ ფენომენებს ერთობლივად არ განიხილავდნენ. მოდერნიზაცია გამოიყენებოდა ან როგორც ქოლგა, რომელიც აერთიანებდა ცალკეულ კომპონენტებს, მაგრამ არ ახდენდა მათ ინტეგრაციას (ლერნერი) ან იყო აღწერილი, როგორც ზოგადი გასაზღვრება - "ფუნქციონალური დიფერენციაცია" (მოუზელისი), რომელიც აერთიანებდა ყველაფერს "მოდერნიზაციის" ქვეშ.¹⁹

ემპირიულმა კვლევებმა წარმოაჩინა ეს ნაკლოვანება. ანალიტიკოსების უმეტესობა სამი კომპონენტიდან ერთზე ახდენდა ფოკუსირებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორი ან სამი კომპონენტი განიხილებოდა. ისინი განიხილებოდნენ ცალ-ცალკე, როგორც სამი პარალელურად მიმდინარე ვექტორი.

პირველად ლიპსეტმა და მისმა მიმდევრებმა დაკავშირეს სოციო-ეკონომიკა და დემოკრატია ანუ რომ სოციო-ეკონომიკური განვითარება ეხმარება დემოკრატიზაციის პროცესს, ხოლო სხვები კი ამტკიცებენ, რომ დემოკრატით გამოწვეული სტაბილურობა უზრუნველყოფს უკეთესი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რაც კარგია სოციო-ეკონომიკური განვითარებისთვის. *აქ უნდა აღინიშნოს, რომ მთავარია სტაბილურობა და არა დემოკრატია.* ამის მაგალითია სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ჩინეთი.

მეორე ჯგუფი აღნიშნავს, რომ სოციო-ეკონომიკური განვითარება იწვევს თანამედროვე ღირებულებების განვითარებას, მეორე მხრივ სხვები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე ღირებულებები ახდენენ ეკონომიკური განვითარების

¹⁸ იქვე

¹⁹ იქვე

უზრუნველყოფას. და ბოლოს მესამე ჯგუფი აკავშირებდა ერთმანეთს სამოქალაქო კულტურას და დემოკრატიზაციას - ერთნი ამბობენ, რომ დემოკრატია ეხმარება სამოქალაქო კულტურის განვითარებას, ხოლო მეორენი ამტკიცებენ, რომ სამოქალაქო კულტურის ჩამოყალიბება აიძულებს პოლიტიკურ ელიტას გადავიდეს დემოკრატიულ რელსებზე და ჩამოაყალიბოს დემოკრატიული მართველობის სისტემა.

ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს ფაქტორების წყვილთან და არა ტრიოსთან და მთავარი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ რა აქვს ამ სამ კომპონენტს საერთო? რა იწვევს ამ სამივე კომპონენტის ერთად განვითარებას? ეს კითხვები უპასუხოდ რჩებოდ. ლუისმა შემოიღო პიროვნების არჩევანის (ჰუმან ცჰოიციე) პრინციპი. ანადმა და შენმა შემოიღო კაცობრიობის განვითარების პრინციპი (ჰუმან დეველოპმენტ), ისინი ამტკიცებენ, რომ არჩევანის თავისუფლება ანუ შესაძლებლობა აირჩიონ სიციცხლის ის გზა, უნდა იყოს სოციალური პროგრესით უზრუნველყოფილი. ინგელჰარდმა და ვესილმა კი ამ ორს კომპონენტს მიამატეს მესამე - პოლიტიკური კულტურა.

როგორც ავრნიშნეთ თეორიული ჩარჩო გამდიდრებულია ემპირიული მონაცემებით. ღირებულებების ცვლადები აღებულია მსოფლიო ფასეულებების კვლევების სხვადასხვა ტალღებიდან, სოციო-ეკონომიკური ცვლადებად გამოიყენება ვანჰანენის სოციო-ეკონომიკური მონაცემები, პოლიტიკური ცვლადებად კი - თავისუფლების სახლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მონაცემები და ელიტალური კორუფციის მაჩვენებლები საერთაშორისო გამჭვირვალობისგან.²⁰

ავტორების კონცეფციის მიხედვით სოციო-ეკონომიკური განვითარება, თვითგამოხატვის ღირებულებების წარმოქმნა და მოქმედი ეფექტური დემოკრატია ერთად ზრდის ადამიანის არჩევანს საზოგადოებებში. სოციო-ეკონომიკური განვითარება მოიცავს პროცესებს, როგორცაა ურბანიზაცია, სოციალური მობილიზაცია და სამუშაო ადგილების დივერსიფიკაცია, ზრდის სოციალურ კომპლექსურობას და მრავალფეროვანს ხდის ადამიანებს შორის სოციალურ ურთიერთობებს ანუ ზრდის ინდივიდუალურ რესურსებს და ეს რესურსები წარმოქმნის ობიექტურ შესაძლებლობებს პიროვნული არჩევანისთვის. **ანუ თუ არ გვაქვს არაფერი ვერაფერს ვერ აირჩევ და იბრძოლებ მხოლოდ გადარჩენისთვის.**

თავის მხრივ თვითგამორკვევის ღირებულება არის არჩევანის მეორე კომპონენტი. როდესაც ზრდადი ინდივიდუალური რესურსი (ეს შეიძლება იყოს მატერიალური ან ფისკალური რესურსები) ზრდის ადამიანების აქტივობების შესაძლებლობის ფარგლებს (ანუ მეტი სახის აქტივობაა შესაძლებელი), თვითრეალიზაცია, ავტონომია და ემანსიპაცია უფრო ნოყიერ ნიადაგს პოულობს და აძლიერებს ადამიანის სურვილს ჰქონდეს თავისუფალი არჩევანი და გააკონტროლოს თავისი ცხოვრება. **ანუ**

²⁰ ავტორთა აზრით ელიტების ინტეგრაცია (ანუ ელიტური კორუფციის საწინააღმდეგო მონაცემები) არის ის ინსტრუმენტი რომელიც გარდაქმნის ფორმალურ დემოკრატიას მუშა დემოკრატიად.

ფული გაძლევს არჩევანის საშუალებას, ხოლო ღირებულება კი გიბიძგებს ეს არჩევანი თვითგამოხატისთვის გამოიყენო.

დემოკრატია არის არჩევანისა და განვითარების მესამე კომპონენტი. დემოკრატია წარმოქმნის იურიდიულ უფლებებს, რომლებიც ადამიანების საზოგადოებრივ და კერძო აქტივობის არჩევანს უდგება გარანტიად. აქ მნიშვნელოვანია არა იმდენად ფორმალური დემოკრატია, არამედ დემოკრატია საქმეში ანუ მოქმედი დემოკრატია. ანუ ფული გაძლევს არჩევანის საშუალებას, ღირებულება გიბიძგებს ეს არჩევანი თვითგამოხატისთვის გამოიყენო, ხოლო დემოკრატია კი გარანტიად უდგება ამ გამოხატვის ლეგიტიმურობას.

განვითარების სამივე კომპონენტი ფოკუსირებულია არჩევანზე. რომელიმე ერთი კომპონენტის პროგრესი აუმაღლებს საზოგადოების "ცონდიტო ჰუმანა", აძლევს ადამიანებს უფრო ძლიერ საშუალებას (ინსტრუმენტს), მოტივაციას და უფრო ეფექტურ გარანტიას გამოიყენოს თავისი პერსონალური პოტენციალი. კაცობრიობის (საზოგადოების) განვითარება ნიშნავს ამ ყველაფერს მასშტაბურ/მასობრივ დონეზე.

კაცობრიობის განვითარების კომპლექსი უფრო ფართეა ვიდრე სტანდარტული მოდერნიზაციის თეორია, რადგან იგი ერთდროულად არის ფოკუსირებული და ფართე ანუ ერთი მხრივ ფოკუსირებულია არჩევანის გაზრდაზე ან შემცირებაზე და მეორე მხრივ ეხება ყველა კომპონენტს (სოციო-ეკონომიკური განვითარება), ღირებულება და დემოკრატიზაცია.

ავტორების აზრით, განვითარების ტენდენცია წარმოიქმნება ორი კავშირისგან ესენია: საშუალება-მოტივაცია და მოტივაცია-კანონი. აქ იქმნება პირველი შეუსაბამობა ტექსტში არსად არ არის განხილული საშუალება-კანონის ბმა, და რაც ასევე მნიშვნელოვანია არ არის ახსნილი თუ რა მოტივით მოხდა ამ წყვილის სრული იგნორირება.

ავტორების მიხედვით საშუალების (ანუ ეკონომიკური კეთილდღეობის) ზრდის გადაზრდა კანონში (ანუ ქმედით დემოკრატიაში) ხდება მხოლოდ მოტივაციის (ანუ თვითგამოხატვის ღირებულებების გაზრდის გზით).

საშუალება-მოტივაცია

ღარიბ ადამიანს მოქმედების ნაკლების საშუალება აქვს და შესაბამისად აქვს ნაკლები არჩევანი. რაც უფრო ნაკლებად დამთრგუნველი და მეტად საშუალების მომცემი სოციალური გარემოა ადამიანის გარშემო მით უფრო კმაყოფილია ადამიანი.

არსებობს მაღალი კორელაცია ადამიანების ცხოვრებით კმაყოფილებასა და იმას შორის თუ რამდენად თავისუფალნი არიან თავის არჩევანში. დეპრესიულ გარემოში ადამიანები ნაკლებად ფიქრობენ თვითგამოხატვაზე და ამის ფსიქოლოგიური შედეგია ცხოვრებით უკმაყოფილება. ამ დროს ადამიანი ფიქრობს გადარჩენაზე, გადარჩენის სტრატეგიის დროს საზოგადოება იყოფა „თავისიანებად“ და „სხვისიანებად“ (ანუ მტრებად). „სხვისიანები“ მიჩნეულია კონკურენტად მწირე რესურსებისთვის ბრძოლაში, რაც იწვევს მათდამი უნდობლობას. უნდობლობა კი

ზრდის „თავისიენების“ შიგნით დისციპლინას (ჯგუფურ დისციპლინას) რაც ამცირებს პიროვნულ ავტონომიას. ანუ ნაკლები ფული ნიშნავს ნაკლებ ტოლერანტობას, მეტ ყურადღებას ჯგუფური დისციპლინის, სოციალური კონტროლის, იერარქიის, მორალური რიგიდულობის და ძლიერი ავტორიტეტების (ანუ ტრადიციული ღირებულებების) მიმართ. საპირისპიროდ მეტი რესურსი ნიშნავს მეტ ტოლერანტობას ადამიანების მრავალფეროვნების მიმართ, უფრო მაღალ ცხოვრებით კმაყოფილებას და ინდივიდუალური თავესუფლების მიმართ მეტ პატივისცემას.

მოტივაცია-კანონი - თვითგამოხატვა საზოგადოებრივ და კერძო სფეროებში ადრე თუ გვიან მოითხოვს თავისუფლებაზე დაფუძნებულ საკანონმდებლო ბაზას. თუ ზრდადი ეკონომიკური რესურსების მიერ გამოწვეული მოტივაციის ზრდა ხდება ავტორიტარულ საზოგადოებაში ადამიანები აღიქვამენ ამ ავტორიტარიზმს, როგორც მათი უფლებების არალეგიტიმურ შეზღუდვას. თუ ელიტას არ სურს დემოკრატიზაცია მაშინ არალეგიტიმურობის ხარისხი იზრდება და სტატუს ქვოს შენარჩუნება ელიტას ძალიან ძვირი (ყველა გაგებით) უჯდება. ეს ყოველივე განვითარების ორ საშუალებას იძლევა - ელიტის განაყოფი მოახდენს ხალხის მობილიზაციას ლიბერალური რეფორმებისთვის და დემოკრატი დისიდენტები მოითხოვენ თავისუფალ არჩევნებს. ანუ შედეგად გვაქვს რეჟიმის ცვლილება. მეორე გზა კი ითვალისწინებს კურსის ცვლილებას თავად მმართველი ელიტის მიერ რაც გამოიწვევს დემოკრატიული რეჟიმის დამყარებას ევოლუციური მეთოდით.²¹

თუ ეს ყოველივე ხდება დემოკრატიულ გარემოში მაშინ შედეგად გვაქვს არა რეჟიმის ცვლილება არამედ თავისუფლების უფრო ეფექტური გამოყენება. თუმცა დემოკრატიაშიც შესაძლებელია ელიტების კორუფცია. კორუმპირებულმა ელიტამ შეიძლება შეზღუდოს ადამიანების თავისუფლებები. ღარიბ საზოგადოებაში ადამიანებს არ აქვთ რესურსი და არც მოტივაცია, რომ მდგომარეობა შეცვალონ, თუმცა იქ სადაც თვითგამოხატვის მოთხოვნა მეტია, ხალხს ცვლილების მოტივიც მეტი აქვს. ანუ ვერბას სიტყვებით ”ყველა საზოგადოებაში მოქალაქეები სოციო-ეკონომიკურ რესურსებს აქცევენ პოლიტიკურად”²²

დემოკრატიაში ელიტების შევსება ხდება არჩევნების გზით ანუ მასის შიგნით ცვლილება იწვევს ელიტის ცვლილებასაც. რაციონალური არჩევანის კონცეფციიდან გამომდინარე გაუგებარია, რატომ უნდა შეიკავონ თავი ელიტებმა კორუფციისაგან თუ არ არსებობს შემაკავებელი ფაქტორი, როგორცაა ხალხის მხრიდან წნეხი.

როგორც ავლნიშნეთ ავტორები მთლიანად გამორიცხავენ **საშუალება-კანონის პირდაპირ ბმას**. თუმცა აქ უნდა ავლნიშნოთ, რომ არსებობს განსხვავებული აზრიც. ელიტიზმისა და დემოკრატიული ელიტიზმის ფუძემდებლები მთლიანად

²¹ აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ უახლოს ისტორიაში არსებობს მაგალითები, როდესაც ავტორიტარული საზოგადოება აღიქმებოდა **სტაბილურობის გარანტიად**. შორს, რომ არ წავიდეთ ამის მაგალითია თანამედროვე რუსეთი და ჩინეთი.

²² Verba, S., Nei, N.H. and Kim J.-0, “Participation and political equality”, Cabredge, Cambredge University Press, 1978.

ეთანხმებიან პარეტოს პოსტულატს, რომლის მიხედვითაც ელიტა ბევრად უფრო მეტ როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში ვიდრე "არაორგანიზებული მასა". ისტორიას ახსოვს იმის მაგალითები, როდესაც ტრანსფორმაცია ხდებოდა ეკონომიკური აღმასვლის კვალდაკვალ, ელიტების გადაწყვეტილებით ან ელიტების შორის კონსენსუსის გზით, მაშინ როდესაც მასა არ იყო მზად ამისთვის.²³ ამის მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ თურქეთი და ჩილე.

ველზის, ინგლიჰარტის და კლინგემანის თანახმად საკანონმდებლო დონეზე თავისუფლების არსებობა ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეების შორის თვითგამოხატვის ღირებულებების წარმოქმნას თუ არ არსებობს შესაბამისი სოციო-ეკონომიკური რესურსი. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ ფორმალური დემოკრატია ვერ იარსებებს თვითგამოხატვის ღირებულებების გარეშე, მაგრამ ეს დემოკრატია არ იქნება ეფექტური (მაგ. ინდოეთი). იმისათვის, რომ იყოს ეფექტური, უფლებებს სჭირდებათ ღირებულებები, მაგრამ უფლებები ვერ წარმოქმნიან ამ ღირებულებების. ფორმალური უფლებები ეს არის ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც ვერ წარმოქმნის მოთხოვნილებას გახდეს ეფექტური. ანუ ეფექტური დემოკრატია არის შედეგი თვითგამოხატვის ფასეულობის და არა პირიქით.²⁴

ავტორების აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა დემოკრატია რეალურია თუ ფორმალური (ინდოეთის მაგალითი). ფორმალური დემოკრატის გარეშე რა თქმა უნდა შეუძლებელია რეალური დემოკრატია, თუმცა ფორმალური დემოკრატია არ არის საკმარისი პირობა რეალურის არსებობისთვის. დემოკრატის ასამუშავებლად საჭიროა ელიტების ინტეგრირება ან კანონის უზენაესობა. ამის გამო ავტორები იყენებენ ელიტების ინტეგრაციას როგორც წონას რომელიც ან ამცირებს ან ზრდის ფორმალური დემოკრატის ხარისხს.

თეორიის არსი არის ის, რომ ეფექტური დემოკრატია კავშირშია თვითგამოხატვის ღირებულებებთან, ხოლო თავის მხრივ ეს ღირებულებები კავშირშია ადამიანების რესურსებთან. ამავე დროს ეფექტურ დემოკრატასა და თვითგამოხატვის ღირებულებების შორის კავშირი საგრძნობია მხოლოდ საზოგადოების (ჯგუფის) დონეზე, მაშინ როდესაც კავშირი ღირებულებასა და რესურსებს შორის წარმოიქმნება ინდივიდუალურ დონეზე, ხოლო საზოგადოებრივ დონეზე კი ხდება ამ ინდივიდუალურის აკუმულირება ანუ შედეგი უბრალო ჯამია.

სტატიაში მოყვანილი ემპირიული მასალები უჩვენებენ, რომ დადებითი კორელაცია ღირებულებას, ინდივიდუალურ შემოსავალსა და განათლებას შორის ინდივიდუალურ დონეზე ერთი ქვეყნის შიგნით არის 0,29, ხოლო საზოგადოებრივ დონეზე კი 0,91.²⁵

²³ Higley, J. and Pakulski, A. 'Revolution and Elite Transformation in Eastern Europe' in Australian Journal of Political Science, vol. 27, pp. 104-119, 1992.

²⁴ Christian Welzel, Ronald Inglehart and Hans-Dieter Klingemann "The theory of human development: A cross-cultural analysis" in European Journal of Political Research 42: 341-379, 2003.

²⁵ Christian Welzel, Ronald Inglehart and Hans-Dieter Klingemann "The theory of human development: A cross-cultural analysis" in European Journal of Political Research 42: 341-379, 2003.

ავტორების ახსნით ამ განსხვავების მიზეზი შემდეგია: ერთი ქვეყნის მოქალაქეები გართიანებულია ინსტიტუტების მიერ რომელიც ახდენ მათ სოციალიზაციას საერთო ტრადიციების გარშემო. ამიტომ საზოგადოებას ერთი ქვეყნის შიგნით აქვს ტენდენცია შექმნას „ცენტრალური ვექტორი“ რომელიც საერთოა მისი მოქალაქეებისთვის და განასხვავებს მათ სხვა ქვეყნისგან (საზოგადოებისგან). ამის გამო უფრო დიდია განსხვავება სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის ვიდრე ერთი ქვეყნის მოქალაქეების შიგნით.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ქვეყნის შიგნით მოქალაქეები მიისწრაფიან ცენტრალური ვექტორისკენ და განსხვავება ამ ინდივიდებს შორის მინიმუმირდება. ამავე დროს როდესაც სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ვექტორები, გამომდინარე განსხვავებული კულტურული, ისტორიული, ეკონომიკური და სხვა ფაქტორებიდან განსხვავდება. ამავე დროს ავტორების აცხადებენ, რომ, ცენტრალური ვექტორებით შეიძლება აიხსნას ღირებულებების კვლევის 4-ვე ტალღის ინდივიდუალური ვარიაციების მხოლოდ 40%.²⁶ ანუ რეალურად განსხვავება არის ეროვნებების დონეზე და არა ინდივიდუალურ დონეზე, რაც კიდევ ერთხელ ამაგრებს თეორიის კრიტიკოსების არგუმენტებს მისი ზედაპირულობისა და მასობრივობის შესახებ.²⁷

ამ მხრივ განვიხილოთ კავშირი რესურსებსა და ღირებულებების შორის და დავუშვათ, რომ ორივე კონცენტრირებულად არის გადანაწილებული ქვეყნის შიგნით შერჩევად. ეს ნიშნავს, რომ ორივე ცვლადის მხოლოდ უმცირესობა იქნება მნიშვნელოვნად განსხვავებული ცენტრალური ვექტორისგან. სხვა სიტყვებით უმრავლესობა დაიკარგება იმ მონაცემებში როდესაც რესურსების ცვალებადობა არ ნახავს ასახვას ფასეულობის ცვალებადობაში, რაც ამცირებს კორელაციას ქვეყნის შიგნით. ქვეყნებს შორის ანალიზისას არ არსებობს ცენტრალური ვექტორი ან ის მოიცავს მცირე ჯგუფს და მისგან გადახვევები მნიშვნელოვანია და შესაბამისად მეტია ალბათობა, რომ მოხდეს კორელაცია ამ ორ ცვლადს შორის. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების შორისი ანალიზი.

ავტორებს მოჰყავთ გერმანიის მაგალითი - ომის შემდგომ გერმანიის შემოსავალი ოთხჯერ მეტი გახდა, მაგრამ სოციალური გადანაწილების სისტემის გამო ანალოგიურად გაოთხმაგდა საშუალო შემოსავალიც და გადახვევა ცენტრალური ვექტორიდან უცვლელი დარჩა. და თუ შევადარებთ ქვეყნებს ომის შემდგომ მდიდარი და ღარიბი ქვეყნებს შორის განსხვავება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ შედარება უნდა მოხდეს ქვეყნებს შორის დონეზე. ეს მსჯელობა სწორეა ჩამოყალიბებული ეკონომიკის ქვეყანაში, მაგრამ რა ვუყოთ კასტობრივ ქვეყანას (ინდოეთი) ან გარდამავალ ეკონომიკას სადაც გადახრა ვექტორიდან შეიძლება ბევრად დიდი იყოს ან იცვლებოდეს სხვადასხვა ეტაპზე?

²⁶ იქვე

²⁷ გიგა ზედანია "ღირებულებების სისტემატური და შედარებითი კვლევა", კრებული "ქართული საზოგადოების ძირითადი ღირებულებები", ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს გამოცემა, 2006 წელი

ქვეყნებს შორის ცვლადების კორელაცია უფრო მაღალი ხდება თუ გამოვიყენებთ არა ინდივიდუალურ მონაცემებს არამედ გასაშუალოებულ მონაცემს. საშუალო მონაცემი (აგრეგირებული მონაცემი) აკომპენსირებს ექსტრიმებს (ისინი ურთიერთგამორიცხავენ ერთმანეთს), შეცდომებს და აზრის არ ქონის შემთხვევებს. ანუ საქმე გვაქვს ნედლ ციფრებთან და მისი თეორიასთან შეთანხმება უფრო ადვილია. ამავე დროს იკარგება საშუალება დავიჭიროთ გლობალური ვექტორი. იმისათვის, რომ თეორია ვალიდული იყოს უნდა მივიღოთ აქსიომად, რომ საშუალო მაჩვენებელი არის ქვეყნისა და საზოგადოების ყველაზე დამახასიათებელი მაჩვენებელი. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ თეორია არის მასობრივი (ჯგუფური) და ინდივიდუალურ დონეზე ჩასვლა წარმოქმნის პრობლემებს. მეორე მხრივ რაღაც განზოგადება საჭიროა როდესაც მონაცემთა ასეთ დიდ მასასთან გვაქვს საქმე. მთავარი კითხვა რომელიც იბადება არის მოსახლეობის რა ოდენობა ექცევა დაკომპენსირებულ ექსტრიმებში და რა როლს თამაშობს ეს ექსტრიმები რეალური ღირებულებების ფორმირებაში? როგორც ავლნიშნეთ ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალურია გარდამავალი ტიპის საზოგადოებისთვის სადაც ექსტრიმის ხვედრითი წილი საზოგადოების ფორმირებაში მაღალია.

კავშირი მასობრივ ღირებულებასა და ეფექტურ დემოკრატიას შორის ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი თვისების ურთიერთობას ასახავს. ღირებულება წარმოადგენს ინდივიდუალური დონიდან წამოსული მონაცემების აგრეგირებულ მასობრივ მახასიათებელს (aggregated mass characteristic). მაშინ როდესაც ეფექტური დემოკრატია არსებობს მხოლოდ ინსტიტუციურ დონეზე და არ არის ინდივიდუალური მახასიათებელი (genuine system characteristic).²⁸

ქვეყნის ჯგუფები

თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბების შემდეგ ავტორები ცდილობენ ქვეყნების დაჯგუფებას. ამ მიზნით ისინი ჰანტიკატონის ცივილიზაციის თეორიას ეყრდნობოდნენ. ჰანტიკატონი ამტკიცებს, რომ მსოფლიო დაყოფილია რვა ძირითად ცივილიზაციად ან “კულტურულ ზონად” ისეთი კულტურული განსხვავებების საფუძველზე, რომლებმაც გაუძლო საუკუნეებს. ამ ზონების ფორმირებაზე გავლენა იქონია რელიგიურმა ტრადიციებმა, რომლებიც დღესაც მყარია, მოდერნიზაციის ძალების მიუხედავად. ეს ზონებია: დასავლური ქრისტიანობა, მართლმადიდებლური სამყარო, ისლამური სამყარო, კონფუციური, იაპონური, ინდუისტური, აფრიკული და ლათინო-ამერიკული.²⁹

თავი I - მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდგომი მეთოდოლოგია: ა. კაბინეტური კვლევა. ანალიზისთვის გამოყენებული იქნა ევროპის/მსოფლიოს ღირებულებების

²⁸ Christian Welzel, Ronald Inglehart and Hans-Dieter Klingemann “The theory of human development: A cross-cultural analysis” in European Journal of Political Research 42: 341-379, 2003.

²⁹ Huntington, Samuel, “The crash of civilizations and the remarks of the world order”, New York, Simon&Schuster, 1996.

კვლევა, ბ. მონაცემების მეორადი ანალიზი, გამოყენებული იქნა კვლევების ციკლი „საზოგადოების განწყობები საქართველოში“, რომელიც 2012 წელს ტარდებოდა NDI-საქართველოს დაკვეთით და გ. ქართული საზოგადოების ღირებულებების რაოდენობრივი 2005 წლის კვლევა.

ევროპის/მსოფლიოს ღირებულებების კვლევა, რომელიც ჩატარდა 73 ქვეყანაში და მოიცავდა მსოფლიო მოსახლეობის 80%. როგორც თვითგამოხატულების ფასეულებები გამოყენებული იქნა შემდეგი ცვლადები:

1. ადამიანების განსხვავებულობის აღიარება (დამოკიდებულება მარგინალურ ჯგუფების მიმართ); 2. სამოქალაქო პროტესტი; 3. ლიბერალური ღირებულებები (მთავრობის გადაწყვეტილებებში ადამიანების ჩართულობა მათში, გამოხატვის თავისუფლების დაცვა და ა.შ.); 4. ადამიანების ნდობა (ენდობი თუ არა უცხოებს - „ჩვენები“ და „სხვები“); 5. მაღალი კმაყოფილების ხარისხი; 6. დაბალი რელიგიურობა (ღმერთის მნიშვნელობა).

ქართული საზოგადოების ღირებულებების კვლევა დაიწყო 2005 წლის დეკემბერში. ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ განხორციელებულ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ: დავით აფრასიძე, გიგა ზედანია, ლევან თარხნიშვილი, გიგა თევზაძე, სერგო რატიანი, გიორგი ხელაშვილი, ემზარ ჯგერენაია. ექსპერტებთან შეხვედრებისა და ფოკუს-ჯგუფების, ასევე ღირებულებების კვლევის შესახებ სოციალურ მეცნიერებებში არსებული ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე მომზადდა ორი კითხვარი, რომლებიც გამოყენებული იქნა 2006 წლის აგვისტოში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევისას. ერთი მათგანი წარმოადგენდა რ. ინგლჰარტისა და მისი ჯგუფის მიერ ჩატარებული მსოფლიო ღირებულებების კვლევის კითხვარების გადამუშავებულ ვერსიას (სხვა ცვლილებებს შორის, მას დაემატა ევროატლანტიკური სტრუქტურების მიმართ ქართული მოსახლეობის დამოკიდებულების დადგენაზე გამიზნული კითხვები), ხოლო მეორე დაფუძნებული იყო ღირებულებების სტრუქტურის ორიგინალურ კონცეპციაზე.

2012 წელს კვლევა ჩატარდა სამ ტალღად და მიემდვნა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს³⁰. გამოყენებული იყო სტრატეგიცირებული და კლასტერული შერჩევის მეთოდი. შერჩევაში იყო იდენტიფიცირებული 16 მაკრო სტრატა და 609 კლასტერი. შიდამეურნეობების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ხოლო რესპონდენტების შერჩევა ხდებოდა კიშის ცხრილის გამოყენებით, ყველა ინტერვიუ ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. არ ხდებოდა შემთხვევით შერჩეული შინამეურნეობის ან პიროვნების ჩანაცვლება. საშუალო ცდომილების ზღვარი შეადგენდა 2-3%.

თავი II ანალიზი

³⁰ ტალღები მოიცავდა შემდეგ პერიოდებს 22 თებერვალი - 5 მარტი, 4-22 ივნისი, 29 აგვისტო - 12 სექტემბერი.

მონაცემები და წყაროები

როგორც აღინიშნეთ, ანალიზისთვის გამოყენებული იქნა ევროპის/მსოფლიოს ღირებულებების კვლევა, რომელიც ჩატარდა 73 ქვეყანაში და მოიცავდა მსოფლიო მოსახლეობის 80%. როგორც თვითგამოხატულების ფასეულებები გამოყენებული იქნა შემდეგი ცვლადები:

1. ადამიანების განსხვავებულობის აღიარება (დამოკიდებულება მარგინალურ ჯგუფების მიმართ); 2. სამოქალაქო პროტესტი; 3. ლიბერალური ღირებულებები (მთავრობის გადაწყვეტილებებში ადამიანების ჩართულობა მათში, გამოხატვის თავისუფლების დაცვა და ა.შ.); 4. ადამიანების ნდობა (ენდობი თუ არა უცხოებს - „ჩვენები“ და „სხვები“); 5. მაღალი კმაყოფილების ხარისხი; 6. დაბალი რელიგიურობა (ღმერთის მნიშვნელობა)

უნდა აღინიშნოს, რომ 5 და 6 ცვლადები ძალიან ზედაპირულია. აქ არ არის გათვალისწინებული ეროვნული ფაქტორი მაგ. ოპტიმიზმი/პესიმიზმი³¹. აგრეთვე ის ფაქტი, თუ რას ნიშნავს რომ ღმერთისა და რწმენის მნიშვნელობა ამა თუ იმ საზოგადოებაში (იხ. ქვემოთ ქართული საზოგადოების მაგალითზე). ასევე გარდამავალ საზოგადოებაში პეტიციის ხელმოწერა ვერ ჩაითვლება პროტესტის ძლიერ მუხტის მატარებლად, ისევე როგორც პეტიციის არ მოწერა არ ნიშნავს პროტესტის არ ქონას და უფრო რადიკალური და აქტიური პროტესტის არ განხორციელებას.

ამოსავალი წერტილი არის პოზიცია, რომ ემანსიპირებულ ადამიანებს აქვთ თავისი თავის რწმენა, საკუთარი/სხვის პატივისცემა და თავისუფლების სიყვარული რაც აიძულებს მათ აღიარონ სხვების უფლებები და თავისუფლებები.³² ამის გამო თვითგამოხატვის ღირებულებები მოიცავს არა მხოლოდ ეგოცენტრულ ტენდენციებს, საკუთარ თავისუფლებებს და სამოქალაქო პროტესტს (პეტიციის ხელმოწერა) ქონას, არამედ წარმოქმნის ალტერ-ეგოს, სხვების პატივისცემას და ნდობას.³³ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები ფაქტიურად არ ითვალისწინებენ რევოლუციურ პროტესტს, რომლის დროსაც საზოგადოება იყოფა ჯგუფებად. ამის ნათელი მაგალითი თანამედროვე საზოგადოებაშიც შეგვიძლია ვნახოთ მაგალითად ანარქისტები, ანტიგლობალისტები.

ველზის, ინგლიჰარტის და კლინგემანის აზრით, ეს ღირებულებები მიზმულია სიცოცხლით მეტ კმაყოფილებასთან, რაც სხვა სიტყვებით თავისუფლების,

³¹ როგორც კავკასიური კვლევების რესურს ცენტრის მიერ 2005-06 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობა დაახლოებით ერთნაირ სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობების დროს აბსოლუტურად განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებდნენ აწემოს შეფასებასა და მომავლის პროგნოზირებისას. იხ. www.crrcenters.com. იგივე დასკვნის საშუალებას იძლევა The Pew Research Center-ის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მონაცემების შედარება. იხ. Two Decades After the Wall's Fall, www.pewglobal.org

³² Rawls J. "Political liberalism", New York, Columbia University Press, 1993.

³³ Christian Welzel, Ronald Inglehart and Hans-Dieter Klingemann "The theory of human development: A cross-cultural analysis" in European Journal of Political Research 42: 341-379, 2003.

ავტონომიის და ემანსიპაციის მიმართ ლტოლვა აძლიერებს მოტივაციას და უბიძგებს თავისი მოთხოვნილებების შესრულებისკენ, რაც იწვევს კმაყოფილების გაზრდას. ბოლოს ამ ფასეულობებთან ნეგატიური კორელაცია აქვს რელიგიას და სხვა ტრადიციულ (ავტორიტარულ და ერაჩიულ) ფასეულობებს.

ეს ფაქტორი იზრდება ნაციის შიგნით ინდივიდუალურ დონიდან ქვეყნებს შორის ინდივიდუალურ დონემდე და პიკს აღწევს გასაშუალოებულ ქვეყნებს შორის დონეზე. ³⁴ეს მსჯელობა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს მასობრივ თეორიასთან.

ინდივიდუალური რესურსების ოდენობა იზომება ვენჰანენის ძალაუფლების რესურსის ინდექსის მეშვეობით. ინდექსი აგრეგირებული სახით მოიცავს ფიზიკურ და ინტელექტუალურ რესურსებს.

დემოკრატიულობის ეფექტურობის ხარისხის შესაწავლად ავტორები იყენებენ Freedom House-ს პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებების ინდექსი და TI-ს ელიტარული კორუფციის დონე. ორივე ეს მონაცემი გადაითვალა და მოერგო ამ მიზნებს მაგ. უმაღლესი ქულა 28 იქცა 100 ქულად. ორივე წყაროს გამოყენების აუცილებლობა გამოიწვია ფაქტმა, რომ ფრედომ ჰოუსე ინდექსი არ აქცევს ყურადღებას რამდენად პატივსცემს სცემს და იცავს თავად ელიტა ამ უფლებებს და ამის გასაზომად დაუმატეს TI-ს მონაცემები. კორუფცია მნიშვნელოვანი იდეკატორია იმის გასაზომად, თუ რამდენად მოქმედია სისტემა ადამიანის უფლებების დაცვაში, რა უფრო მნიშვნელოვანია ღირსება თუ ქრთამი. ქრთამი ყოველთვის ნიშნავს კანონის დარღვევას და ადამიანის უფლებების დარღვევას რადგან ისინი უფასოდ ვერ იღებენ იმ უფლებას რაც ეკუთვნით. მეორე მხრივ ქრთამის არ არსებობა უჩვენებს რამდენად ზუსტად მისდევენ მმართველები კანონს ეს ინდექსი 10 ბალიანია, ხოლო ავტორებმა გადააკეთეს 1 ბალიანად. ანუ საბოლოო ჯამში $x = y * z$ სადაც x - რეალური დემოკრატიაა, y - ფორმალური თავისუფლების სახლი მონაცემებით (100 სკალა) და z - TI -ს მონაცემები გადანაცვლებილი 1 ბალიან სისტემაში.

კულტურული ზონები

ვებერმა, ჰანტინგტონმა, ეიზენსტადტმა, და სხვებმა გაყვეს კაცობრიობა კლასტრებად - ცივილიზაციებად ან კულტურულ ზონებად, რომლებიც აღემატება ეროვნებების დაყოფას.

კულტურული ზონა მოიცავს ეროვნებების დაჯგუფებას, რომლებსაც აქვთ მსგავსი ნიშნები. როგორც წესი ეს ნიშნებია - ისტორიული (ერთიანი რელიგიური ფესვები); იმპერიული წარსული და რეგიონი ანუ გეოგრაფიული ნიშანი.

ამ გზით ავტორებმა გამოყვეს შემდეგი ჯგუფები - რელიგიური - დასავლეთ ქრისტიანობა, ქვედაყოფა პროტესტანტიზმი (18 ქვეყანა) და კათოლიციზმი (27 ქვეყანა); მართმადიდებლობა (10 ქვეყანა), ისლამი (10 ქვეყანა) და სხვა აზია (5 ქვეყანა). შემდეგ ისინი იყოფა რეგიონულ ან იმპერიულ ჯგუფებად - კერძოდ კათოლიციზმი - დასავლურ ევროპულ, აღმოსავლურ ევროპულ (ყოფილი

³⁴ იქვე

კომუნისტური ქვეყნები) და ლათინური ამერიკის; აზიაში -ინდოეთი და ჩინეთი გამოყოფილია ცალკე, რადგან ჰანტიგტონის მიხედვით 1 მილიარდიანი ქვეყანა ცალკე ცივილიზაციაა. ესტონეთი და ლატვია, მიუხედავად იმისა, რომ პროტესტანტული ქვეყანაა საბჭოთა წარსულის გამო მიაკუთვნეს აღმოსავლეთ ევროპის კათოლიკურ ქვეყნებს (იგივე ხდება აზერბაიჯანის შემთხვევაში). და ბოლოს სუბ-აფრიკული საჰარის ქვეყნები, რომლებიც არ არის დაყოფილი რელიგიური ნიშნით. ავტორების აზრით, აქ მთავარია, რომ ყველა ეს ქვეყანა იყო ევროპული იმპერიების ქვეშ.³⁵

ეს მსჯელობა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს თეორიის ზედაპირულობას. ავტორები ახდენენ სხვადასხვა ინდიკატორების და მაჩვენებლის მიხედვით ქვეყნების ხელოვნურად დაჯგუფებას. დაჯგუფების დროს არ არსებობს ინდიკატორების კატეგორიზაცია, ანუ არ ჩანს როდის რომელ ინდიკატორს ანიჭებენ უპირატესობას, ასევე გაუგებარია, რატომ არ არის გათვალისწინებული ქვეყნის შიგნით ჯგუფების არსებობა მით უმეტეს მილიარდიან ქვეყნებში.

კაცობრიობის განვითარების კავშირები კულტურათშორის პერსპექტივაში.

ერები, რეგიონები და კულტურული ზონები წარმოქმნიან იერარქიას, რომლის მიხედვითაც ერები თავსდებიან რეგიონებში და რეგიონები ზონებში. მთავარი კითხვაა ორი კავშირის წყვილი (საშუალება-მოტივაცია და მოტივაცია-კანონი ანუ ეკონომიკა-ღირებულება და ღირებულება-დემოკრატია) მიყვება თუ არა ამ იერარქიას ანუ ნარჩუნდება თუ არა კორელაცია დონიდან დონეზე გადასვლისას თუ იგი იკარგება. ანალიზმა აჩვენა რომ კორელაცია რა თქმა უნდა იზრდება დონის ამალღების მიხედვით (იმიტომ რომ იზრდება გასაშუალოების ხარისხი) მაგრამ გასხვავება მინიმალურია - პირველ წყვილში დონეების მიხედვით 0,9, 0,93 და 0,97, ხოლო მეორე წყვილში 0,87, 0,95 და 0,97.³⁶

სხვადასხვა მათემატიკური მოდელირების გამოყენების შემდეგ დასკვნა შემდეგია - კულტურული ზონები ხსნის ეროვნებების შორის არსებული სამი კომპონენტის ცვალებადობის 85%-ს, ხოლო ამ კომპონენტებს შორის კავშირი 90%-ზე მეტად ხსნის კულტურათა შორის ვარიაციებს. ანუ კაცობრიობის განვითარების კომპონენტების კავშირი არ არის კულტურულ-სპეციფიური არამედ უნივერსალურია. კულტურული ზონები განსხვავდება ერთმანეთსგან ასახავს კაცობრიობის განვითარების ლოგიკას.

კაცობრიობის განვითარების გენეზისი

ველზის, ინგერჰარტის და კლინგემანის თანახმად ზრდადი ინდივიდუალური რესურსები მასობრივ დონეზე ცვლის საზოგადოების ღირებულებების ემანსიპაციის ღირებულებების ზრდის ტენდენციისკენ, რაც იწვევს მასობრივი ზეწოლის ზრდას დემოკრატიის დამყარებისა და გაღრმავების მიმართულებით. ერთ-ერთი

³⁵ Huntington, Samuel, "The crash of civilizations and the remarks of the world order", New Yourk, Simon&Schuster, 1996.

³⁶ Christian Welzel, Ronald Inglehart and Hans-Dieter Klingemann "The theory of human development: A cross-cultural analysis" in European Journal of Political Research 42: 341-379, 2003.

ფუნდამენტალური კითხვაა – რა კავშირია საზოგადოებაში გაბატონებულ ღირებულებებისა და დემოკრატიას შორის.

ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტებმა შეიძლება წარმოშოს დემოკრატიული ღირებულებები (მულერი და სელიგსონი; მილერი და ჯაკმენი). თუ ეს დაშვება სწორია, მაშინ ემანსიპაციის ღირებულებები უნდა იყოს შედეგი დემოკრატიული ტრადიციების და არა პირიქით. ამის საწინააღმდეგოდ კაცობრიობის განვითარების თეორია ამტკიცებს, რომ ემანსიპაციურ ღირებულებების უფრო მეტი გავლენა აქვს შემდგომ დემოკრატიზაციაზე ვიდრე დემოკრატიულ ტრადიციებს ღირებულებების ჩამოყალიბებაზე და ისტორიულ ჭრილში ანალიზი სწორედ ამას ადასტურებს.³⁷

თუ საზოგადოებაში არსებობს თვითგამოხატვის ღირებულებები ეს ადრე თუ გვიან იწვევს ეფექტური დემოკრატიის წინსვლას, იმ შემთხვევაშიც კი თუ დემოკრატიული ტრადიცია სუსტია. იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო კავშირი ღირებულებასა და დემოკრატიას შორის ავტორებმა დემოკრატია დაყვეს ორ კომპონენტად – ელიტის ინტეგრაცია და ფორმალური დემოკრატია. სხვა ცვლადების უცვლელობის შემთხვევაში ელიტების ინტეგრაცია მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფორმალურ დემოკრატიაზე. ეს უჩვენებს, რომ ელიტები არის მთავარი მამოძრავებელი ძალა ფორმალური დემოკრატიისთვის. თავისუფლებების და უფლებების ჩარჩოს წარმოქმნიან ელიტები იმის მიხედვით თუ რას ჩაწერენ კონსტიტუციაში (ო'დონელი და შმიტერი, ჰიგლი და გუნტერი, გასპერი და ტეილორი). თუმცა ავტორების მიხედვით ელიტების მოქმედება არ არის ასეთი დამოუკიდებელი ცვლადი რადგან ის დამოკიდებულია საზოგადოებაში გავრცელებულ ღირებულებებზე. ანუ მასები განსაზღვრავენ ელიტების მოქმედებას და მასების დემოკრატიული ღირებულებები აიძულებენ ელიტებს მოიქცნენ დემოკრატიულად. ავტორების აზრით ელიტებს აქვთ საშუალება მოახდინონ გავლენა მასების ღირებულებებზე, თუმცა ფუნდამენტალური ღირებულებები არ შეიძლება შეიქმნეს ელიტების კამპანიების გზით.³⁸ აქ ავტორები არ ითვალისწინებენ ისეთ მაგალითებს როგორცაა თურქეთი და ჩილე. შეიძლება შექმნას ჩარჩო და მრავალწლიანი მოქმედების გეგმა, რომ ეს ჩარჩო შეივსოს ღირებულებებით. ავტორების აზრით ელიტები იყენებენ ამ ღირებულებების მაგრამ ვერ წარმოადგინებენ მათ. ამ ლოგიკით ელიტები იღებენ მხოლოდ პოპულარულ გადაწყვეტილებებს, მაშინ როდესაც გარდამავალ პერიოდში უხვად არის არაპოპულარი გადაწყვეტილებები რომლებიც განსაზღვრავს მომავალ ღირებულებების სისტემას. კვლევა არ მოიცავს იმ პერიოდებს როცა ევროპაში ხდებოდა ტრანსფორმაცია. კვლევაში მოცემული ანალიზი ვერ ხსნის მოვლენებს სამხრეთ ევროპაში, (საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია და ნაწილობრივ იტალია), აგრეთვე ლათინური ამერიკის ქვეყნებში სადაც უფრო გვიან ხდებოდა ტრანსფორმაცია.

ავტორების მიხედვით რაციონალური არჩევანიდან გამომდინარე ელიტებს არ აქვთ მიზეზი მოახდინონ თავიანთი ბენეფიტების მაქსიმალიზაცია კორუფციების გზის თუ რა თქმა უნდა რაიმე არ დაუშლის ამას. მასების ემანსიპაციური ფასულობები

³⁷ იქვე

³⁸ იქვე

უძლიერესი შემაკავებელი ფაქტორია ამისთვის. ამ ღირებულებების არსებობის შემთხვევაში ელიტები ან დაჰყვება ხალხის მოთხოვნას და გარდაიქმნება არაკორუპირებულ ელიტად და გააფორმებს ამას კანონით ან ამ ელიტას გამოცვლიან.³⁹

შედეგები

კაცობრიობის განვითარება არის მიმართული სინდრომი, რომელიც შედეგადად სამი კომპონენტისგან და ეს კომპონენტები განსაზღვრავს ადამიანების არჩევანს - სოციო-ეკონომიკური წინსვლა აძლევს ადამიანებს არჩევანის ობიექტურ (მატერიალურ და არამატერიალურ) საშუალებებსა და რესურსებს, თვითგამოხატვის საშუალებების განვითარება აძლევს ადამიანებს სუბიექტურ ორიენტაციას ამ არჩევანის გაკეთებისას, და ფორმალური დემოკრატია იძლევა ამ არჩევანის გაკეთების იურიდიულ ჩარჩოებს, რომლებიც ეფექტური ხდება პასუხისმგებელი ელიტების მოქმედებით.⁴⁰

მოდერნიზაციის კლასიკური თეორიისგან განსხვავებით ავტორები ამტკიცებენ, რომ კულტურულ ზონებს აქვს მნიშვნელოვანი, დამატებითი ფაქტორი, რომელიც აძლიერებს ინდივიდუალური რესურსების გავლენას ღირებულებებზე. გარდა ამისა ავტორებმა შემოიტანეს მესამე ფაქტორი - ეფექტური დემოკრატია და ამტკიცებენ, რომ ეს სამი კომპონენტი განსაზღვრავს განვითარებას. ეს კავშირი ნარჩუნდება არა მარტო ერების არამედ კულტურული ზონების დონეზე. იმ კულტურულ ზონაში სადაც ადამიანებს მეტი რესურსი აქვს მათი გავლენა ღირებულებების ჩამოყალიბებაზე უფრო მეტია; კულტურული ზონებში სადაც ღირებულებები უფრო ძლიერია დემოკრატია უფრო ეფექტური და ძლიერია. ავტორების აზრით დემოკრატია ეფექტურია მხოლოდ თუ მასში არსებობს თვითგამოხატვის ღირებულებები. ამ ღირებულებების განვითარებისთვის კი აუცილებელი სოციო-ეკონომიკური განვითარება, რომელიც ხელს უწყობს ადამიანების ავტონომიას. ეფექტური დემოკრატია ვერ წარმოიქმნება მხოლოდ ფორმალური დემოკრატიული კანონების და კონსტიტუციის მიღებით. ეფექტური დემოკრატიისთვის აუცილებელია ღირებულებების არსებობა მასობრივ დონეზე.

ინგლეჰარტი გამოყოფს პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებების და აჯგუფებს მათ ხუთ კომპონენტად -

- დემოკრატიული ორიენტაცია - მეტი ძალაუფლება ხალხს
- ლიბერალურ ორიენტაცია - ტოლერანტობა და არაკონფრონტაციული ცხოვრების სტილი
- აქტივისტის ორიენტაცია - აქტიური მონაწილეობა პროტესტში, ბოიკოტსა და ა.შ.
- წარმატებული (Effecacius) ორიენტაცია - რწმენა იმისა რომ აკონტროლებენ თავის ცხოვრებას (არაფატალისტობა)
- ნდობითი ორიენტაცია - ხალხის მიმართ ნდობა

³⁹ იქვე

⁴⁰ იქვე

ფლანაგანი და ლი ამტკიცებენ რომ ეს ორიენტაციები იზრდება პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში. კერძოდ ეს საზოგადოებები აკმაყოფილებენ ადამიანების საბაზისო, გადარჩენის მოთხოვნილებებს და ამიტომ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება ხდება უფრო მნიშვნელოვანი. ამავე დროს მატერიალური დოვლათის, ინტელექტუალური უნარების და სოციალური შესაძლებლობების გაზრდა აძლევს ხალხს საშუალებას რომ პრაქტიკულად გამოიყენონ საბაზისო თავისუფლებები.⁴¹

ვესელი და ინგერჰარტი დარწმუნებულნი არიან, რომ თვითგამოხატვის ღირებულებები პირდაპირ კორელაციაში არიან ერთიმხრივ სოციო-ეკონომიკურ განვითარებასთან და მეორე მხრივ ეფექტურ დემოკრატიასთან. კერძოდ სოციო-ეკონომიკური განვითარება ზრდის *შესაძლებლობას* (ცოდნა, უნარი და ოპორტუნიტე) გამოხატონ და გამოიყენონ დემოკრატიული ღირებულებები და განახორციელონ ის აქტივობები რომლებიც მათ შურს; თვით-გამოხატვის ღირებულებები ზრდიან ამის *მოტივაციას*, ხოლო ეფექტური დემოკრატია კი აძლევს *საშუალებას* გამოიყენონ ისინი.⁴²

ასეთ საზოგადოებაში იზრდება „კარგი მოქალაქე“ („good citizen“) ანუ პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში ნაკლებია არჩეული ელიტებზე დაყრდნობილი მოქმედება და მეტია თავად მოქალაქეების მიერ არჩეული მოქმედება - *”ამიტომ კლებულობს არჩვენებში მონაწილეთა რიცხვი და მოხალისეთ მონაწილეობა სხვასხვა საზოგადოებაში. ეს აქტივობები არის სამოქალაქო ვალდებულობების მოდელის დროინდელი”*⁴³. ამავე დროს პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში იზრდება კრიტიკული დამოკიდებულება ინსტიტუტების მიმართ რომლებიც მართავენ საზოგადოებას ანუ პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო ინსტიტუტები⁴⁴.

მოკლდ, რომ ვთქვათ პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში ხალხი იხრება იმისკენ, რომ თავად ჩამოაყალიბოს თავის მომავალი და თავის ცხოვრება. **იზრდება თვითგამოხატვა, რწმენა (მჯერა რომ რომ ვკონტროლებ საკუთარ ცხოვრებას) და ამავე დროს იზრდება ელიტის (საზ. ინსტიტუტების) მიმართ კრიტიკული მოქმედება (მზაობა მიიღონ მონაწილეობა ან მონაწილეობის მიღება პეტიცია, დემონსტრაცია, ბოიკოტი).**

თუ ადამიანი მხოლოდ უკმაყოფილოა ელიტით და არ აქვს სამოქალაქო შეგნება (low feeling of civic agency) შედეგი არის აპატია, ხოლო თუ საქმე გვაქვს სამოქალაქო შეგნებესთან და უკმაყოფილებასთან მაშინ საქმე გვაქვს საჯარო გამოსვლებთან.

ამ ყოველივეს აქვს სამი შედეგი - 1. ხალხისთვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრება; 2, დემოკრატის გაგება ხდება უფრო ლიბერალური (ტოლერანტული; უფრო მეტად თავისუფლებებზე ორიენტირებული,

⁴¹ Flanagan, S. “Value change in industrial society” in American Political Science Review 81 (4): 391-418, 1987.

⁴² Welzel, Christian “Political Culture”, in The sage handbook of comparative politics, 12/4/2008.

⁴³ Putnam, Robert “Making democracy work”, Princeton, N.J: Princeton University Press, 1993.

⁴⁴ Newton, K. “Trust, social capital, civil society and democracy” in International Political Science Review 22: 201-214, 2001 and Norris, P. “Critical citizens” Oxford: Oxford University Press, 1999.

ვიდრე მართვაზე) და 3. დემოკრატიულობის შეგრძნება იზრდება და შეფასება ხდება რეალური.⁴⁵

თვითგამოხატვის ღირებულებები სუსტია, როდესაც სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა აიძულებს ხალხს ჩაიკეტონ თავის ჯგუფში და განახორციელონ ჯგუფური მიკუთვნებული მოქმედება ანუ მოახდინონ თავისი ჯგუფის ინტერესების დაკმაყოფილება სხვა ჯგუფების დისკრიმინაციის ხარჯზე.⁴⁶

შესაბამისად ასეთ საზოგადოებაში კოლექტივიზმი ნიშნავს, რომ ხალხი ვერ ხედავს ერთმანეთში ინდივიდებს არამედ ჯგუფის წევრებს და ამ შემთხვევაში მთავარია ჯგუფის ინტერესები (*ჩვენები და სხვები*) კოლექტივიზმი წარმოქმნის ჯგუფურ ეგოიზმს. ინდივიდუალიზმი კი პირიქით პირველ ადგილზე აყენებს სხვის ინდივიდს, თანასწორობას და პატივს სცემს სხვის ინტერესებს. ანუ ინდივიდუალიზმი და ალტრუიზმი პირდაპირ კორელაციაში არიან ძლიერ თვითგამოხატვით ღირებულებასთან⁴⁷.

ვესელი და ინგერჰარტი დარწმუნებულნი არიან რომ თვითგამოხატვის ღირებულებები პირდაპირ კორელაციაში არიან ერთიმხრივ სოციო-ეკონომიკურ განვითარებასთან და მეორე მხრივ ეფექტურ დემოკრატიასთან. კერძოდ სოციო-ეკონომიკური განვითარება ზრდის *შესაძლებლობას* (ცოდნა, უნარი და ოპპორტუნიტე) გამოხატონ და გამოიყენონ დემოკრატიული ღირებულებები და განახორციელონ ის აქტივობები რომლებიც მათ სურს; თვით-გამოხატვის ღირებულებები ზრდიან ამის *მოტივაციას*, ხოლო ეფექტური დემოკრატია კი აძლევს *უფლებას* გამოიყენონ ისინი. ამავე დროს არსებობს პირდაპირი კავშირი თვითგამოხატვის ღირებულებასა და სოციალური ინსტიტუტების შორის.

თვითგამოხატვის ღირებულება ხელს უწყობს დემოკრატიული რწმენის განვითარებას, რომ ძალაუფლების საფუძვლები ეკუთვნის ინდივიდებს. ეს კი უარყოფს ავტორიტარიზმს და ლიდერის დომინაციას ხალხზე ანუ ავტორიტალური მართველობა ხდება არალეგიტიმური. ანუ ხალხის ზეწოლას მთავრობა გრძნობს ყოველთვის მაშინაც კი თუ რეჟიმი არ არის დემოკრატიული.⁴⁸

სოციალური რწმენა ზრდის კოლექტიურ მოქმედებას, მაგრამ არ მიუთითებს ამ მოქმედების საბოლოო მიზანს. საბოლოო მიზანი რომ დემოკრატია იყოს აუცილებელია არსებობდეს დემოკრატიული, ლიბერალური, აქტიური და დარწმუნებული ხალხი ანუ იგივე მხოლოდ თვითგამოხატვის ფასეულობებთან ერთად იწვევს სოციალური რწმენა (Social Trust) დემოკრატიული თავისუფლების დამყარებას.⁴⁹

⁴⁵ Welzel, Christian "Political Culture", in The sage handbook of comparative politics, 12/4/2008.

⁴⁶ იქვე

⁴⁷ იქვე

⁴⁸ იქვე

⁴⁹ იქვე

მაღალი პოლიტიკური ნდობა (რწმენა) დემოკრატიასთან უარყოფითად კორელირებს (ვესელი) ანუ არ არის აუცილებელი რწმენა ინსტიტუტების მიმართ რომ სისტემა იყოს დემოკრატიული პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში (იგივე დაშვებაა, რომ ხალხი დემოკრატიულ ღირებულებების ატარებს - ელიტების თეორია)

სოციალური კაპიტალი აუცილებლად უნდა შეიცავდეს თვითგამოხატვის ღირებულებების.

ცალკე არსებული პროტესტი არ ნიშნავს ავტომატურად თვითგამოხატვის ღირებულებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროტესტი მიზნულია საპროტესტო აქციაზე, დემოკრატიულ, ლიბერალურ, ტოლერანტულ, რწმენაზე დაფუძნებულ და დარწმუნებული შეხედულებებთან ის არის თვითგამოხატვის ფასეულობის რეფლექცია ან როგორც მინიმუმ მისი გამოხატულება.

მოდერნიზაციის დამსახურება არის არა ის, რომ იგი ხდის დემოკრატიას ელიტასთვის უფრო მისაღებს არამედ ის, რომ მოდერნიზაცია ქმნის მასას, რომელიც მზათაა, უნდა და შეუძლია იბრძოლოს დემოკრატიისთვის და არ დაუტოვოს ელიტას სხვა არჩევანი გარდა დემოკრატიისა (პარეტო და ელიტების თეორია - მსოფლიო ისტორია ეს არის ელიტების ისტორია. ისტორიას ქმნიან არა მეცნიერები არამედ მეფეები).

რაც ძლიერია თვითგამოხატვის ღირებულება მით ხალხის რიცხვი ვინც იზიარებს დემოკრატიას და ვისთვისაც ის მნიშვნელოვანია. სადაც სუსტია იქ პირიქით და ვამთავრებთ ავტორიტარიზმით (ელიტარული დემოკრატია - შტომპერი. ხალხი ვერ აკონტროლებს ამას ელიტები აკეთებენ).

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მაღალია გენდერული თანასწორობა და დაბალია მარგინალური ჯგუფების მიუღებლობა. და შედეგად დემოკრატია ძლიერია.

თავი III კრიტიკა და ალტერნატივა

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ინგერჰარტისა და მისი მიმდევრების თეორია საკმაოდ ზედაპირული და მასობრივია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მისი გამოყენება მხოლოდ დიდი შერჩევისა და სხვადასხვა დამატებითი ფაქტორების შემოღების დროს არის შესაძლებელი. როგორც თვითონ ავტორები აღიარებენ, მათი თეორია უფრო კარგად მუშაობს ქვეყნის (საზოგადოების) შორის დონეზე, ვიდრე ერთი საზოგადოები შიგნით ანუ ვალიდულია იქ სადაც შერჩევა ბევრად მაღალია და დამატებითი ფაქტორები (რელიგია, ისტორია, კულტურა, ეკონომიკა) ბევრად მეტია, რაც იძლევა ემპირიული მონაცემების თეორიაზე მორგების საშუალებას. ხოლო იქ სადაც ესეც არ არის საკმარისი ავტორებს შემოაქვს დამატებითი ცვლადები, როგორცაა მაგალითად გენეტიკა, წარსული და ა.შ.

ზემოთ თქმულის ნათელი მაგალითია ავტორების მსჯელობა სუბიექტური ბედნიერების, ეკონომიკის, დემოკრატიის, გენეტიკისა და ღირებულებების გარშემო.

თავის ნაშრომში "გენეტიკა, კულტურა, დემოკრატია და ბედნიერება", რონალდ ინგლეჰარტი და ჰანს-დიტრიხ კლინგემანი აღნიშნავენ, რომ ცალკეული საზოგადოების სუბიექტური ბედნიერების ახსნა ვერ ხერდება ობიექტური მაჩვენებლების, კერძოდ განათლები დონის, ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიის ხარისხის გზით. სწორედ განსხვავება შემოსავალში, განათლებაში, საქმიანობაში, სქესსა და ოჯახურ მდგომარეობაში, ასევე სხვა დემოგრაფიული მონაცემები საოცრად მცირე ახსნას იძლევა ადამიანთა სუბიექტური კეთილდღეობის ხარისხის განსხვავებისთვის. " როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანები ხასიათდებიან კეთილდღეობისა და ცხოვრებით კმაყოფილების შედარებით მაღალი ხარისხით, თუმცა განსხვავებები მცირეა და ძირითადად ვარიაციის 4%-ს ხსნის მხოლოდ, ხოლო განათლება, საქმიანობის სფერო, ასაკი, რელიგიურობა და სქესი კი უფრო ნაკლებს"⁵⁰

სწორედ ამიტომ, ავტორებს შემოაქვთ დამატებითი ფაქტორი - გენეტიკა და მათი განცხადებით " ადამიანის ბედნიერების ხარისხზე გენეტიკური ფაქტორების გადამწყვეტი გავლენის შესახებ მზარდი მონაცემები იწვევს ფართო ინტერესს. ნეირომეცნიერებმა აღმოაჩინეს მჭიდრო კავშირები ტვინში დოპამინისა და სეროტონინის დონესა და ბედნიერების ხარისხს შორის, მათ ასევე აღმოაჩინეს, რომ გენები წამყვან როლს თამაშობს ამ დონეების რეგულირებაში".⁵¹ შესაბამისად დამატებითი ფაქტორის შემოღების გზით შესაძლებელი ხდება აიხსნას, თუ რატომ არის უფრო ბედნიერი ნაკლები შემოსავლის მქონე ინდოელი ხალხი ვიდრე ეკონომიკურად და განათლების ხარისხით უფრო მაღალ დონეზე მყოფი ესტონელები. (იხ. დამატება №1 ბედნიერება, ცხოვრებით კმაყოფილება და სუბიექტური კეთილდღეობა)..

ეს მაგალითი ზემოთ მოყვანილ სხვა მაგალითებთან ერთად გვიჩვენებს თეორიის მასობრივ და ზედაპირულ ხასიათს. გარდა ამის, ასევე ბევრ კითხვას ბადებს ავტორების არჩევანი სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური მაჩვენებლების დადგენისას.

როგორც ავღნიშნეთ ინდივიდუალური რესურსების ოდენობა იზომება ვენჰანენის ძალაუფლების რესურსის ინდექსის მეშვეობით. ინდექსი აგრეგირებული სახით მოიცავს ფიზიკურ და ინტელექტუალურ რესურსებს. თეორიის ავტორები არ იყენებენ GDP-ს რადგან ადამიანზე გადათვლილი GDP ანანდისა და შენის აზრით არ გამოხატავს საზოგადოების ადამიანურ რესურსებს, ხოლო ზოგადად GDP არ მოიცავს გადანაწილების მომენტს ანუ რამდენად აქვს თვითოეულ ადამიანს ამ დოვლათთან ხელმისაწვდომობა. და ბოლოს GDP ვერ აფიქსირებს სოციალურ კომპლექსურობას ამის გამო გაერო იყენებს HDI (Human Development Index). მაგრამ ამ მახასიათებელს თავისი სუსტი მხარეებიც აქვს. მაგ. სიცოცხლის ხანგძლივობას საერთოდ არავითარი საერთო არ აქვს ინდივიდუალურ რესურსებთან.⁵² თუმცა აქვე ავღნიშნავთ, რომ ეკონომისტთა ნაწილი და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა

⁵⁰ Inglehart, R. and Klingemann, H-D, "Gens, Culture, Democracy and Happiness", 2000.

⁵¹ იქვე

⁵² Christian Welzel, Ronald Inglehart and Hans-Dieter Klingemann "The theory of human development: A cross-cultural analysis" in European Journal of Political Research 42: 341-379, 2003.

მაგალითად მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ იზიარებენ ამ მოსაზრებებს.

პოლიტიკური მაჩვენებლებისა და დემოკრატიულობის დონის განსაზღვრელად ავტორებს ადებული აქვთ თავისუფლების სახლისა და საერთაშორისო გამჭვირვალობის მონაცემები. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ორივე ეს ინდექსი უფრო პოლიტიკური პუბლისცისტიკის ხასიათს ატარებს, ვიდრე ღრმა სამეცნიერო. შესაბამისად ჩვენ ვიღებთ რამოდენიმე სხვადასხვა წყაროს, რომელსაც გარკვეულწილად სხვადასხვა დატვირთვა და მეცნიერული საფუძველი გააჩნია.

თავისუფლების სახლის მონაცემები ითვალისწინებს ინდივიდუალურ თავისუფლებებს, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ამავე დროს ის აბსოლიტურად იგნორირებას უკეთებს სახელმწიფო ინსტიტუტების რეალურ აქტიურობებს და შესრულებულ სამუშაოს. ამის გარეშე კი შეუძლებელი იქნება მთლიანი სურათის დანახვა. მონაცემები ეყრდნობა ექსპერტების შეფასებებს, რომლებიც ცდილობენ თვისობრივი მონაცემები (კანონმდებლობა, მედია გაშუქება, გამონათქვამები) გადაიყვანონ რაოდენობრივ მონაცემებში ანუ შკალაში. თვითოეული კომპონენტს შემდეგომში ასევე ექსპერტების მიერ მიენიჭება გარკვეული წონა და გამოითვლება თავისუფლების კოეფიციენტი. დაგვეთანხმებით, რომ ეს მიდგომა საკამაოდ სუბიექტური და დიდწილად ექსპერტების განსჯაზე დამოკიდებულია. ამავე დროს არ არის გათვალისწინებული თუ რა ვითარებაში იქმნება ესა თუ ის პირველწყარო - კვლევა, სტატია, მედია გაშუქება. ცნობილია, რომ დახურულ საზოგადოებაში ფაქტობრივად არ არსებობს ალტერნატიული წყაროები და შესაბამისად ადგილზე არსებული მოქმედი პირი (იქნება ეს ჟურნალისტი, მკვლევარი თუ არასამთავრობო აქტივისტი) მკაცრი ცენზურის ქვეშაა. შესაბამისად ასეთ ქვეყანიდან მოსული ანგარიში მხოლოდ დადებითი სუბსტანციების მატარებელი იქნება. თუ ამ ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე დაცულია დემოკრატიულობის პრინციპები, დიდია იმის შანსი, რომ თავისუფლების სახლის მონაცემების მიხედვით ასეთი ქვეყნის ინდექსი საკამაოდ მაღალი იყოს. ამის ნათელი მაგალითია თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკა, რომელი თავისუფლების სახლის ბოლო შეფასებით "ნახევარ-თავისუფალი" ქვეყნების კატეგორიაში მოხვდა.⁵³ შესაბამისად ასეთი მონაცემების უაპელაციოდ მიღება მეცნიერული ანალიზის დროს არ უნდა იყოს სწორი. დაახლოებით იგივე მსჯელობა არის შესაძლებელი საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის ინდექსის გარშემო.

ყოველივე ზემოთ თქმული გარკვეულ პრობლემას წარმოქმნის, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ინგერჰარტის თეორიის საშუალებით ვცდილობთ ცალკე ადებული ქვეყნის ანალიზს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია არსებული ინსტრუმენტი და თეორიული ჩარჩოთი საქართველოს საზოგადოებს ღირებულებებისა და მდგომარეობის ახსნა ვცადოთ. ამისათვის გამოვიყენოთ 2005 წელს ჩატარებული კვლევა.⁵⁴

⁵³ www.freedomhouse.com

რონალდ ინგლჰარტის და პიპა ნორისის ანალიზის თანახმად, დღევანდელ მსოფლიოში არსებობს დეკლარირებული კონსენსუსი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის აუცილებლობის შესახებ. ჰანტიგტონის ცივილიზაციათა რღვევის ორივე მხარეს მყოფ რესპონდენტთა თანაბარი რაოდენობა (61%) კატეგორიულად უარყოფს ავტორიტარულ მმართველობის ფორმას, გმობს რა “ძლიერ ლიდერებს”, რომლებიც “თავს არ იწუხებენ პარლამენტითა და არჩევნებით”.⁵⁵ საქართველოში ამ მხრივ დუალისტური დამოკიდებულება გვაქვს: ერთი მხრივ, მოსახლეობის 67,8% დადებითად აფასებს დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას, ამავე დროს მოსახლეობის თითქმის იგივე რაოდენობა – 63,4% დადებითად აფასებს შესაძლებლობას, ჰყავდეს ძლიერი ლიდერი, რომელიც თავს არ იწუხებს პარლამენტითა ან არჩევნებით. (გრაფიკი №1). ამავე დროს საქართველოს პოლიტიკურ ლიდერები (პრეზიდენტები), პიროვნული თვისებების და მართვის უნარების მიუხედავად, ყოველთვის უფრო მაღალი ნდობითა და რეიტინგით სარგებლობდნენ, ვიდრე პარლამენტი ან სხვა რაიმე კოლექტიური ორგანო. (იხ. გრაფიკი № 2, 3).

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ქართული საზოგადოება ზოგადად იჩენს სკეპტიციზმს გაუპიროვნებელი ნდობის მიმართ. გამოკითხულთა მხოლოდ 13% აცხადებს, რომ ადამიანთა უმრავლესობის ნდობა შეიძლება, 30,1%-ის აზრით “თუ ადამიანს არ იცნობ მას ვერ ენდობი”, ხოლო 8,9% კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ “ზოლომდე ნათესავების გარდა ვერავის ენდობი”. (იხ. გრაფიკი №4). შეიძლება ითქვას, რომ ქართული საზოგადოება იყოფა “ჩვენთანებად” და “სხვისთანებად”, რაც საკამაოდ დამახასიათებელია ტრადიციული, წინა-მოდერნისტული საზოგადოებებისთვის. ანალოგიური დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს პასუხი კითხვაზე “როგორ მიგაჩნიათ, ადამიანთა უმრავლესობა გამოგიყენებდათ, შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, თუ სამართლიანად მოგექცეოდნენ? (იხ. გრაფიკი №5).

ინგლჰარტი და მისი მიმდევრები დიდ ყურადღებას ამახვილებენ რელიგიის როლზე საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ავტორთა აზრით, “ისლამურ ქვეყნებში რელიგიის წარმომადგენლების აქტიური საზოგადოებრივი როლის უფრო მეტ მხარდაჭერას ავლენენ, ვიდრე დასავლურ ქვეყნებში. თუმცა თითქმის ასეთივე განსხვავება არსებობს დასავლეთსა და სხვა ნაკლებად სეკულარულ ქვეყნებს შორის მსოფლიო მასშტაბით, განსაკუთრებით სუბსაჰარულ აფრიკასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში”.⁵⁶

საქართველოში ამ მხრივ მკვეთრი საზღვარია გავლებული სახელმწიფო მართვასა და სხვა სფეროებს შორის. ერთი მხრივ, როგორც კვლევამ აჩვენა, ეკლესია ყველაზე მაღალი ნდობის მქონე სოციალური ინსტიტუტია საქართველოში (გრაფიკები №2, 3). მოსახლეობის აზრით, რელიგია დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გამოკითხულთა 93,3% აცხადებს, რომ მიეკუთვნება რელიგიურ მიმდინარეობას, ხოლო 81,2% პროცენტი თავს რელიგიურ პიროვნებად მიიჩნევს (გრაფიკები №6, 7).

⁵⁵ Inglehart, Ronald and Norris, Pippa. “The True Clash of Civilizations” in Foreign Policy, March-April 2003, 67-75.

⁵⁶ იქვე

ამავე დროს, ეკლესიის როლი ყოველდღიურ ცხოვრებასა და სახელმწიფო მმართველაში მინიმალურია. რესპონდენტების მხოლოდ 38,4% აცხადებს, რომ ეკლესია იძლევა ადეკვატურ პასუხს მოსახლეობის წინაშე მდგარ სოციალურ საკითხებზე. შედარებისთვის ვიტყვით, რომ კითხვაზე, რომელიც ეხება ოჯახურ პრობლემებს, პიროვნების მორალურ პრობლემებსა და საჭიროებებს, ასევე ადამიანის სულიერ საჭიროებებს, ანალოგიურ პასუხს იძლევა შესაბამისად რესპონდენტთა 50,1%, 57,2% და 72,2%. (იხ. გრაფიკი №8). უფრო მეტიც, რელიგია რეალურ როლს მხოლოდ დაქორწინებასა და ბავშვების გაზრდის საკითხებში თამაშობს, ყველა სხვა საკითხებში კი მისი როლი უმნიშვნელოა (იხ. გრაფიკი № 9). ანალოგიური დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ამ კითხვარის მეორე ნაწილის ანალიზიც. მართმადიდებლობა და ზოგადად რელიგია მნიშვნელოვანია (ანუ შედის პირველ ხუთეულში) შემდეგი ინსტიტუტებისა და ღირებულებების ფუნქციონირებისთვის: ტრადიცია, კულტურული მრავალფეროვნება, ნათესაობა, ოჯახი, პატრიოტიზმი, პიროვნული თავისუფლება, სკოლა, ქალიშვილობა, ქველმოქმედება, შემწყნარებლობა. როგორც ვხედავთ, ჩამონათვალში არ ფიგურირებს არც სახელმწიფო და არც ბიზნეს სტრუქტურები.

ამავე დროს მიუხედავად მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის საკუთარ თავის მორწმუნედ გამოცხადებისა:

ა) მათი მხოლოდ 17% ესწრება რელიურ მსახურებას კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად (გრაფიკი №10)

ბ) მათი მხოლოდ 14% უსმენს ან უყურებს რელიგიურ გადაცემებს რადიოთი ან ტელევიზიით კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად (გრაფიკი №11)

გ) მათი მხოლოდ 13% კითხულობს რელიგიურ ლიტერატურას კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად (გრაფიკი №12)

დ) მათი 55,6% პროცენტი მიიჩნევს, რომ რელიგიური შეხედულობების გაზიარება წარმატებული ქორწინებისთვის არ არის მნიშვნელოვანი (იხ. ქვემოთმოყვანილი ცხრილი №1)

ე) მათი ნახევარზე მეტი თვლის, რომ არ არის მნიშვნელოვანი, რომ ბავშვმა ოჯახში შეიძინოს რელიგიური რწმენა (გრაფიკი №13).

ცხრილი №1 რელიგიის როლი გადაწყვეტილებების მიღებაში

	ძალიან მნიშვნელოვანი	საკმაოდ მნიშვნელოვანი	არც იმდენად მნიშვნელოვანი
ერთგულება	91,4%	7,5%	1,2%
ბავშვები	62,5%	29,1%	8,4%
ურთიერთპატივისცემა და დაფასება	29,0%	28,9%	42,1%
საკმარისი შემოსავალი	71,5%	26,6%	1,8%
გაგება და შემწყნარებლობა	42,5%	38,7%	18,7%

ბედნიერი სექსუალური ცხოვრება	46,3%	40,5%	13,3%
კარგი საბინაო პირობები	16,5%	14,5%	69,0%
საერთო გემოვნება და ინტერესები	58,5%	35,7%	5,7%
რელიგიური შეხედულებების გაზიარება	22,8%	21,5%	55,6%
საშინაო საქმეების განაწილება	47,9%	37,9%	14,2%
ერთი და იგივე ეროვნება	38,1%	42,6%	19,3%
ერთი და იგივე სოციალური ფენიდან ყოფნა	85,9%	12,6%	1,5%
დედ-მამისგან შორს ცხოვრება	43,8%	41,5%	14,6%
თანხმობა პოლიტიკურ საკითხებზე	30,5%	27,6%	41,9%

თანამედროვე, დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს შემწყნარებლობა, პიროვნების თავისუფლება და თვითგამოხატვის ღირებულების განვითარება წარმოადგენს. როგორც კვლევა გვიჩვენებს, საქართველო ამ ასპექტშიც გარდამავალ სტადიაზეა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ნდობის ფაქტორი მკაცრად გაპიროვნებულია და საზოგადოებას "ჩემიანებად და სხვებად" ჰყოფს. ქვემოთ მოცემული ცხრილი ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. კითხვაზე: "რამდენად ენდობით ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს" რესპონდენტებმა შემდეგნაირად უპასუხეს:

ცხრილი №2 ნდობის ხარისხი

	სრულად ვენდობი	ვენდობი	არც ვენდობი, არც უნდობლად ვარ	ნაკლებად ვენდობი	არ ვენდობი	საერთოდ არ ვენდობი	არ ვიცი
თქვენს ოჯახს	89,6%	7,7%	0,9%	0,4%	0,2%	0,2%	1,0%
ქართველებს ზოგადად	26,3%	44,0%	18,6%	5,1%	1,4%	0,3%	4,4%
სხვა ეროვნების ადამიანებს	10,5%	21,0%	39,1%	13,7%	4,9%	1,5%	9,4%
სხვა რელიგიის მქონე ადამიანებს	8,5%	14,2%	35,0%	17,2%	10,6%	3,0%	11,5%
სომხებს	9,6%	17,8%	32,4%	15,6%	9,5%	3,5%	11,5%
აზერბაიჯანელებს	8,5%	18,4%	35,5%	16,9%	7,6%	2,1%	10,9%

რუსებს	8,8%	21,0%	36,5%	13,7%	7,6%	2,8%	9,5%
ებრაელებს	7,9%	19,8%	34,9%	15,3%	6,7%	2,3%	13,1%
აფხაზებს	6,9%	16,5%	32,5%	17,0%	9,7%	3,8%	13,5%
ოსებს	7,9%	15,3%	33,0%	17,4%	9,8%	3,8%	12,8%

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი სურათი ფაქტობრივად არ განსხვავდება რესპონდენტების ეთნიკურ წარმომავლობასთან კავშირში (იხ. გრაფიკი №14) ანუ საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები ასევე ყოფენ საზოგადოებას "თავისიანებად და სხვისიანებად". შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს უფრო სამოქალაქო-ისტორიულ გამოცდილებასთან, ვიდრე ეთნიკურთან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოების დამოკიდებულება მარგინალური ჯგუფების მიმართ საზოგადოების თანასწორობისადმი მზაობის კარგ ინდიკატორს წარმოადგენს. პრობლემას არასოდეს წარმოადგენს იმ ჯგუფის მიმართ შემწყნარებლობა, რომელიც საყოველთაო სიმპათიით სარგებლობს. მაგრამ თუ გვსურს გავზომოთ, რამდენად შემწყნარებელია ესა თუ ის ერი, უნდა გავარკვიოთ, თუ რომელი ჯგუფი სარგებლობს ყველაზე მეტი ანტიპათიით, ხოლო შემდეგ ვიკითხოთ, თუ რას ფიქრობს საზოგადოება ამ ჯგუფზე. ინგლჰარტი და ნორისი ასეთ ჯგუფად ჰომოსექსუალებს მიიჩნევენ. მსოფლიო ღირებულებათა კვლევის ბაზაზე ისინი ასკვნიათ, რომ: "ავტორიტარულ და კვაზი-დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ჰომოსექსუალების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ღრმად არის გამჯდარი: ეგვიპტესა და ბანგლადეშში – 99%, ირანში – 94%, ჩინეთში – 92% და ინდოეთში – 71%. საპირისპიროდ, ეს მაჩვენებელი ბევრად დაბალია სტაბილურ დემოკრატიულ სახელმწიფოებში გამოკითხულთა შორის: აშშ – 32%, კანადაში – 26%, ბრიტანეთში – 25% და გერმანიაში – 19%." საქართველოში ანალოგიური მაჩვენებელი 79,2% (იხ. გრაფიკი №15).

კიდევ ერთი ინდიკატორი, რომელიც საზოგადოების ღიაობას გვიჩვენებს სქესობრივი თანასწორობაა, ქალებისათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების მინიჭება. საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა ასევე შუალედულია. თითქმის 47% ეთანხმება აზრს, რომ მამაკაცები უფრო კარგი პოლიტიკური ლიდერები არიან. ამავე დროს რესპონდენტები დარწმუნებულნი არიან, რომ ა) ქალსა და მამაკაცს თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მიიღოს განათლება. და ბ) ქალს უნდა ჰქონდეს საშუალება თავისი რეალიზაცია მოახდინოს სამსახურში. კითხვაზე სამუშაოს შეზღუდული რაოდენობით არსებობის დროს უნდა მიენიჭოთ თუ არა უპირატესობა მამაკაცებს, უარყოფითად პასუხობს 47%. (იხ. გრაფიკი №16), ხოლო კითხვაზე მომუშავე დედას შეუძლია ისეთივე თბილი და მყარი ურთიერთობების დამყარება შვილებთან, როგორც არამომუშავე დედას დადებითად პასუხობს 82%. (იხ. გრაფიკი №17).

სქესობრივ თანასწორობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ კითხვაზე, "ერთი შვილის ყოლა რომ შეგეძლოთ ვის იყოლიებდით?" გამოკითხულთა 53% პასუხობს "სულ ერთია". (იხ. გრაფიკი №18). ასევე დაახლოებით თანაბარია დაოჯახებული ქალისა და კაცის სასიყვარული რომანის მიუღებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც

მოსალოდნელი იყო, საზოგადოებისთვის ყველაზე მიუღებელი ამ მხრივაც ჰომოსექსუალობაა (იხ. გრაფიკი №19). ასე, რომ შეიძლება ითქვას პოლიტიკური სფერო მეტ-ნაკლებად რჩება პრო-მამაკაცურ სფეროდ, მაშინ როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში შეიძლება უკვე ვისაუბროთ სქესთაშორის თანასწორობაზე.

აღსანიშნავია, რომ ქართული საზოგადოება, ტრადიციულ საზოგადოებასთან შედარებით, მარტოხელა დედების მიმართ დამოკიდებულებაში უფრო ეგალიტარულია. გრაფიკი №20 გვიჩვენებს, რომ რესპონდენტების თითქმის 40% ამართლებს ქალის სურვილს, იყოლიოს შვილი როგორც მარტოხელმა მშობელმა.

როგორც ავღნიშნეთ კვლევა 2006 წელს ჩატარდა და შესაბამისად არსებობდა შანსი, რომ ამ პერიოდის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. სამწუხაროდ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მსგავსი კომპლექსური კვლევა საქართველოში არ ჩატარებული და ამის გამო რაიმე პირდაპირ შედარებებს ვერ განვახორციელებთ. თუმცა თითქმის ყველა კვლევაში ფიგურირებს ღირებულებების განსაზღვრელი კითხვები თუ მთელი ბლოკი. შესაბამისად ამ კვლევის ანალიზი გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს. გადავწყვიტეთ, რომ ამ მხრივ საბაზისო კვლევად აგველო 2012 წელს ამერიკული ორგანიზაცია NDI-საქართველოს მიერ გამოქვეყნებული კვლევა. არჩევანი შემდეგი მიზეზებით შეგვიძლია ავხსნათ:

1. კვლევა კომპლექსურია და მრავალმხრივი ანალიზის საშუალებას გვაძლევს;
2. კვლევა პერიოდულად მეორდება და ამიტომ გვეძლევს საშუალება შედეგები დროში განვცოვილად გავაანალიზოთ. ჩვენ შემთხვევაში ეს მნიშვნელოვანია რადგან კვლევების სიმწირის გამო მნიშვნელოვანია გამოვრიცხოთ გარე ფაქტორების გამო გამოწვეული ცვალებადი აფეთქებები ანუ ცვლილებები, რომლებიც გარკვეული გამაღიზიანებლითაა გამოწვეული და დროის მოკლე პერიოდში ისევ საწყის მდგომარეობას უბრუნდება;
3. კვლევა მოიცავს კითხვებს პოლიტიკაში ქალების როლის შესახებ;
4. ქრონოლოგიურად ეს ბოლო კვლევებია.

კვლევების ციკლი „საზოგადოების განწყობები საქართველოში“ ტარდებოდა NDI-საქართველოს დაკვეთით კაკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA) მიერ.

პირველი რაც თვალში საცემია ეს არის პრობლემური საკითხების ჩამონათვალი. ყველა კვლევაში დომინანტურ პოზიციაზე არიან პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელია მოდერნული საზოგადოების - ესენია სამუშაო ადგილები (საშუალოდ 60%), პენსიები (20%), ფასების ზრდა/ინფლაცია (20%), ხელფასები (15%). თუმცა, გარკვეულ როლს ჯერ კიდევ თამაშობს გადარჩენის ღირებულებებიც, როგორცაა ხელმისაწვდომი ჯანდაცვა (33%) და სიღარიბე (26%). ამ მხრივ აშკარად უმცირესობაში არიან საზოგადოების ის წევრები, რომლებისთვისაც აქტუალურია პოსტ-მოდერნისტული პრობლემები - განათლება (10%), ადამიანის უფლებები (10%) და მედიის უფლებები (6%). (www.ndi.org). აშკარაა, რომ ქართული საზოგადოება ამ მხრივ უფრო მოდერნულ ხასიათს ატარებს.

საინტერესოა ამ მხრივ რესპონდენტების თვითიდენტიფიკაცია დასაქმებულის სტატუსის მიხედვით. საშუალოდ რესპონდენტთა მხოლოდ 30% თვლით თავს დასაქმებულად, თუმცა შემდგომი ჩაკითხვისას ირკვევა, რომ დაუსაქმებელთა რიცხვში ა. დიდია არააქტიური შრომითი რესურსი (მოიცავს სტუდენტებს, დიასახლისებს, პენსიონერებს, რომლებიც არ არიან დაინტერესებული სამსახურის ძებნით) – 30% და ბ. უმუშევრებს, რომლებიც არ ეძებენ სამუშაოს – 6%. შესაბამისად, მხოლოდ 34% რჩება მათზე ვინც უმუშევარია და ეძებს სამსახურს, მაგრამ ეს რიცხვიც მნიშვნელოვნად მეტია ოფიციალურად ვიდრე ეს აღნიშნულია ოფიციალურ სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც უმუშევრობის დონე 2011 წლისთვის 15,1% არწევდა (www.geostat.ge). ამ განსხვავების ახსნა ორი მიზეზით არის შესაძლებელი 1. მეთოდოლოგია. როგორც ავღნიშნეთ კვლევისას დასაქმების სტატუსი რესპონდენტების მიერ სუბიექტური თვითიდენტიფიკაციით ხდებოდა, მაშინ როდესაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ობიექტურ კრიტერიუმებს იშველიებს. მისი მეთოდოლოგიის თანახმად ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაეროს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, რადგან საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ მაღალია. ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები და განმარტებები არ არის დადგენილი საქსტატის მიერ. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდოლოგიის მიხედვით.

ეკონომიკურად აქტიური – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას იმ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული პროდუქტის განსაზღვრის ჩარჩოებში ხვდება (დასაქმებული და უმუშევარი პირები).

დასაქმებული (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზითარ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

დაქირავებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე, პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შვებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზების გამო.

თვითდასაქმებული – მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ

საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი. უმუშევარი – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.

უმუშევრობის დონე – უმუშევართა პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

დასაქმებულად ითვლება არა მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით დასაქმებულია კერძო ან სახელმწიფო სექტორში და იღებს გასამრჯელოს ხელფასის სახით, აგრეთვე მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურის სახით) ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით ეწევა გარკვეულ საქმიანობას.

თვითდასაქმებულად ითვლება ადამიანი, რომელიც საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მუშაობს და გააჩნია საკუთარი შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულთა გარკვეული ნაწილის სოციალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის და შესაძლოა ისინი ეძებდნენ დამატებით სხვა სამსახურს, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ადამიანი საკუთარი შრომით შემოსავალს იღებს ის დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს.

თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში. მაგალითად, აქვს მიწის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდან მიღებულ პროდუქციას იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე გასაყიდად.

შედარებისთვის მოვიყვანოთ მაგალითი: დავუშვათ, რომ ადამიანი მუშაობს რომელიმე საწარმოში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ მას დიდი სამუშაო დატვირთვა არ აქვს, ან საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მძიმეა, შესაძლებელია დასაქმებულის თვითური შემოსავალი დაქირავებული შრომიდან შეადგენდეს 50 ან 100 ლარს. მიუხედავად ხელფასის მცირე ოდენობისა, ბუნებრივია რომ ეს ადამიანი დასაქმებულია. შესაძლოა, ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სოფლად, არ აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება კერძო ან იურიდიულ პირთან და შესაბამისად არ ითვლება არავის მიერ დაქირავებულად, ჰყავდეს საქონელი, ყიდდეს რძეს, ყველს და ა.შ. და თვეში ჰქონდეს 200 ლარი შემოსავალი. აღნიშნული პიროვნება განიხილება დასაქმებულად, ისევე როგორც დაქირავებით დასაქმებული პირი. შესაბამისად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად დასაქმებულად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობისა.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსების მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათით მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.)

მიღების მიზნით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და შესაბამისად, საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად დასაქმებულად ითვლებიან.

სწორედ აქ მივიდვიართ განსხვავების მიორე მიზეზთან ბ. ფსიქოლოგიური. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს დასაქმებულად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი ხანგრძლივადიანი შრომითი ხელშეკრულება ან დაქირავებული იყოს ვინმეს მიერ. ასეთად კი მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებების და მსხვილი კომპანიების მომსახურეები შეიძლება. შესაბამისად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსების მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თვით იდენტიფიკაციის დროს თავს დაუსაქმებლად მიიჩნევენ.

ზოგადად, რომ შევაჯამოთ ჩვენ გვაქვს საზოგადოება, რომლის დიდი ნაწილი 45% ცხოვრობს სოფლად და დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში. მაგალითად, აქვს მიწის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდან მიღებულ პროდუქციას იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე გასაყიდად. (www.geostat.ge) ეს ტრადიციული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშანია. ამავე დროს მნიშვნელოვანია სერვისის და ინტელექტუალურ სფეროში მომუშავეთა წილიც (300 000 - ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის 15-18%) (www.geostat.ge), რაც უკვე პოსტ-მოდერნისტული საზოგადოებისთვის უფროა დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის უმეტესობა მაინც დასაქმებულის მოდერნისტული გაგების მატარებელია და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს საზოგადოების ღირებულებათა სისტემის ჩამოუყალიბებოზა.

ასეთივე განსხვავებული და გარკვეულ წილად აღრეული ღირებულებები, როდესაც რესპონდენტებისგან ითხოვენ დაასახელონ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა. ამ სიას ლიდერობს ჯანდაცვის რეფორმა 58%, მეორეზეა სოფლის მეურნეობის რეფორმა – 42%, შემდეგ საპენსიო რეფორმა – 33% და განათლების რეფორმა – 28%. ანუ აქ ჩამოთვლილია სფეროები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ტრადიციულ საზოგადოებას (სოფლის მეურნეობა) და ასევე ისინი ვინც უფრო ახლოა მოდერნულ თუ პოსტმოდერნულ საზოგადოებასთან.

შემდეგი კითხვა, რომელიც გვამღვეს საშუალებას ვიმსჯელოთ ღირებულებების პრიორიტეტებზე არის შეკითხვა, რომელიც ეხება იმას თუ ვისი აზრია ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნების შეფასებისას. შეგახსენებთ, რომ NDI-საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევები საკმაოდ დამაბულ წინასაარჩევნო პერიოდში იყო ჩატარებული და შესაბამისად გადაწყვეტილება არჩევნების ავ-კარგიანობაზე მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ. ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს საკუთარი მოსაზრება (41%), ირგვლივ მყოფი ხალხი - 29%, უცხოელი დამკვირვებლები - 27%, პოლიტიკური პარტიები -22%, ცენტრალური საარჩევნო კომისია - 13%, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები - 11% და ეკლესია-9%. ერთი შეხედვით ჭარბობს პოსტ-მოდერნისტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პასუხები (საკუთარი თავი და დეცენტრალიზირებული არასამთავრობო სტრუქტურები), მაგრამ კვლავაც ძლიერი ტრადიციული (ოჯახი,

მეგობრები, ნათესავები) სტრუქტურები და მოდერნისტული სახელმწიფო ინსტიტუტები.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საზოგადოების ტოლერანტობის გაზომვისას მნიშვნელოვანია მისი დამოკიდებულება ე.წ. მარგინალური ჯგუფების მიმართ. ასევე ავღნიშნეთ, რომ საქართველოს შემთხვევაში ასეთებად არატრადიციული სქესობრივი ორიენტაციის პირები შეგვიძლია მივიჩნიოთ. ვნახოთ, როგორ შეიცვალა მდგომარეობა ამ მხრივ. კვლევის ერთ-ერთი ტალღის ჩატარებისას დაისვა კითხვა თუ როგორ უყურებდნენ რესპონდენტები შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებას, რომელიც აკრძალავდა ერთის სქესის ადამიანებს შორის ქორწინებას. ამჯერად პასუხი ცალსახა იყო 89% დაეთანხმა ამ ვირტუალურ ცვლილებებს და მხოლოდ 6% თქვა მასზე უარი. ეს აჩვენებს ერთი მხრივ რესპონდენტების დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ და მეორე მხრივ აჩვენებს თუ როგორ უყურებს ამ პრობლემას და ჯგუფს მთლიანად საზოგადოება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ზემოთ განვიხილავდით ქალი და საზოგადოებაში მისი როლი იყო. როგორც აღმოჩნდა ერთადერთი სფერო, რომელშიც ქალის მიმართ განსხვავებული (შეიძლება ითქვას დისკრიმინაციული) შეხედულება ფიქსირდებოდა იყო პოლიტიკა. NDI-ს კვლევამ აჩვენა, რომ სხვა სფეროებისგან განსხვავებით ამ შემთხვევაში ბოლო 6 წლის მანძილზე გარკვეული ცვლილებები დაფიქსირდა. კვლევის კითხვარში მთელი ბლოკი დაეთმო ქალისა და პოლიტიკის საკითხს. ერთ-ერთი კითხვა, რომელიც დაისვა იყო „როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, იმის შესახებ, თუ ვინ გინდათ იყოს თქვენი მაჟორიტარი დეპუტატი, რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი?“. ამ ჩამონათვალში პასუხმა „მისი სქესი“ ნული პროცენტი მიიღო. (ცხ.3)

ცხრილი#3 ქალი და პოლიტიკა

მისი უნარი პრობლემების გადაწყვეტაში	41%
პატიოსნება	41%
კვალიფიკაცია	34%
კავშირი რაიონთან	23%
პოლიტიკური გამოცდილება	22%
წარსული	17%
პარტია/ბლოკი რომელიც მას წარადგენს	14%
დაპირებები	12%
ოჯახი	4%
ასაკი	2%
სქესი	0%
სხვა	2%
არ ვიცი	9%
უარი პასუხზე	3%

კითხვაზე თუ შევადარებთ კაცისა და ქალი მუშაობას არჩეულ თანამდებობაზე, თქვენი აზრით? რესპონდენტების უმეტესობამ უპასუხა, რომ კაცები და ქალები ერთნაირად მუშაობენ (53%), 20% აზრით კაცები, ხოლო 18% აზრით ქალები უკეთ მიშაობენ. 10% ამ საკითხზე პასუხი არ გააჩნია. ასევე რესპონდენტთა უმეტესობამ მოიწონა ცვლებები კანონში, რომელიც ფინანსურად წახალისებს იმ პარტიებს, რომლებიც გაზრდიან ქალების რიცხვს მათ პარტიულ სიებში. ამ ცვლილებას მიესალმება რესპონდენტთა 54%, ხოლო არ მოსწონს 21%.

ორი მონაცემების შეფასებისას ეს არის შესამჩნევი განსხვავება. სხვა მონაცემები ექვსი წლის წინანდელ შედეგებთან თითქმის იდენტურია. ეს ეხება რელიგიურ შეხედულებასა და რიტუალებსაც. თუმცა გარკვეული განსხვავება ვერბალიზაციის დონეზე აქაც არის. ასე მაგალითად კითხვაზე რამდენად მნიშვნელოვანი თქვენი რელიგიური მრწამსი ყოველდღიურ გადაწყვეტილების მიღებაში? 84% პასუხობს, რომ მნიშვნელოვანს (36-ძალიან მნიშვნელოვანი, ხოლო 48% მნიშვნელოვანი), თუმცა რეალურა აღსრულებაზე, როცა მივა საქმე მდგომარეობა ისევ იგივეა - რესპონდენტთა მხოლოდ 6% დადის ეკლესიაში კვირაში რამოდენიმეჯერ და 13% ერთხელ. მაშინ როდესაც 13% არასოდეს არ დადის, 23% მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებზე და 27% არარეგულარურად (თვეში ერთხელზე უფრო იშვიათად). (www.ndi.org).

ასევე მაღალია ტრადიციული და ძალოვანი სტრუქტურების მიემართ ნდობის ხარისხი, რაც უფრო ტრადიციული საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი, მაშინ როდესაც არჩევითი ორგანოების, სასამართლოების და სხვა მოდერნისტული თუ პოსტმოდერნისტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტების საქმიანობა უარყოფითადაა შეფასებული და შესაბამისად მათთან ნდობა ნაკლებია. იგივე შეიძლება ითქვას პიროვნებების შეფასებისად, რომელშიც საქართველოს პატრიარქი და შინაგან საქმეთა მინისტრი ლიდერობენ (იხ. გრაფიკი #21, 22).

ყოველივე ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ საქართველოს მდგომარეობის ახსნა ტრადიციული ინსტრუმენტის და თეორიის გამოყენებით თითქმის შეუძლებელია. ერთი მხრივ, ჩვენი ღირებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ტრადიციულ ხასიათს ატარებენ, მაგრამ ამავე დროს საზოგადოებაში შეგვიძლია დავაკვირდეთ, როგორც მოდერნისტულ, ისე პოსტ-მოდერნისტულ ღირებულებების. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ ვარაუდს, რომ ინგერჰარტისა და მისი მიმდევრების თეორიითა და ინსტრუმენტით გამწვანებულია გარდამავალ ეტაპზე მყოფი საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შესწავლა და ახსნა.

გარდა ამისა უნდა როგორც ავლნიშნეთ ღირებულებები სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს. ისინი ურთიერთობაში უნდა განვიხილოთ, სტატისტიკურ მონაცემებზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის შიგთავსი, რომელსაც რესპონდენტები ამა თუ იმ ღირებულებაში დებენ. ეს კი შეუძლებელია სტანდარტული რაოდენობრივი კითხვარით. მეორე მხრივ შეუძლებელია მხოლოდ რაოდენობრივი მეთოდით ამ მიღებული მონაცემების განზოგადება ზოგადად საზოგადოებაზე.

სწორედ ამის გამო ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ 2005 წელს შემუშავდა ალტერნატიული ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოების შესწავლას.

კითხვარი შემუშავებული იქნა ფენომენოლოგიური სოციოლოგიის, უფრო კონკრეტულად კი ცოდნის სოციოლოგიის ლუკმან-ბერგერისეული ვერსიის, ამოყენებით. ამოსავალი წერლიტილად აღებული იყო ცნება, რომ სოციალური რეალობის სტრუქტურა აიგება სუბიექტური მნიშვნელობებისაგან. იმისათვის, რომ დადგენილი ყოფილიყო კვლევის ძირითადი არე, ექსპერტებს შორის გამოკითხვის მეშვეობით შემუშავდა იმ ძირითადი ღირებულებების/ინსტიტუტების სია, რომლებიც არსებობენ საქართველოში და რომელთა მიმართაც უნდა არსებობდეს გარკვეული საოზგადობრივი თანხმობა. შედეგად, შემუშავდა შემდეგი სია (იხ. დანართი № 2).

”ეს ერთი შეხედვით რთული საფუძველი კითხვარში მარტივად ითარგმნება. ანუ, ღირებულების შემადგენელი სუბიექტური მნიშვნელობების გამოვლენა შეიძლება კითხვით: როგორ ფიქრობთ, ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელია მნიშვნელოვანი საქართველოში (ღირებულების სახელი, მაგ. ”ოჯახი”)-ს არსებობისათვის? (გთხოვთ მოახდინოთ ამ მნიშვნელობის შეფასება 7 ქულიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს ”ძალიან მნიშვნელოვანი”, ხოლო 7-”სრულიად უმნიშვნელო”).”⁵⁷

დასკვნა

პირველმა კვლემამ აჩვენა, რომ:

”ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავდა საზოგადოების სისტემაში ღირებულებების სამი ტიპის კონცეფცია: რეიფიცირებული და ტოტალური ღირებულებები და სუბიექტური მნიშვნელობები;⁵⁸

⁵⁷ გიგი თევზაძე, ”ღირებულებების სტრუქტურა”, კრებული ”ქართული საზოგადოების ძირითადი ღირებულებები”, ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს გამოცემა, 2006 წელი

⁵⁸ თევზაძის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით:

1. რეიფიცირებული ღირებულებები, ანუ, რომლებიც ინსტიტუციონიზირებულნი არიან, და მაშასადამე გვევლინებიან საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების საშუალება - ორიენტირებად;
2. ტოტალური ღირებულებები, რომლებიც რეიფიცირებულნი არიან, მაგრამ მათი სტრუქტურები იმდენად ყველგანყოფილი არიან, რომ საზოგადოების წევრი მათ ყოფნას აღიქვამს როგორც კონსტანტას - ისინი ყველაზე უფრო აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოების ცხოვრებაში და ამავე დროს მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებენ რეიფიცირებული ღირებულებების კონსტრუირებაში, როგორც სუბიექტური მნიშვნელობები და სუბიექტური მნიშვნელობის კონსტრუირებაში, როგორც მაკონსტრუირებელი ელემენტები;
3. სუბიექტური მნიშვნელობები - ღირებულებები, რომლებიც მხოლოდ ტექსტური, ან ვერბალური სახით არსებობენ, და მნიშვნელობენ მხოლოდ როგორც სხვა ღირებულებების/ინსტიტუტების მდგენელები - არ ასრულებენ განმსაზღვრელ-მაროიონტირებელ როლს ყოველდღიურ ყოფაში.

კვლევის შედეგად შემუშავდა ღირებულების აგებულების დადგენის მეთოდოლოგია: სტანდარტული სიზუსტით, რაც დამოკიდებულია კვლევის მოცულობაზე და რესურსებზე, შეგვიძლია დავადგინოთ ყოველი სამიზნე ღირებულების მაკონსტრუირებელი ელემენტების რაოდენობა და მათი "წილი" კონკრეტული ღირებულების კონსტრუირებაში;

ამ კონცეფციამ და კვლევის მეთოდოლოგიამ საშუალება უნდა მოგვცეს "უდანაკარგოდ" შევადაროთ ერთმანეთს საზოგადოებები და გავიგოთ თითოეული სამიზნე ღირებულების კონსტრუქციები (მათი შემადგენელი სუბიექტური მნიშვნელობები): ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს არ მოვექცეთ ღირებულებების შესახებ სტანდარტული კითხვარების "ცუდ წრეში": როდესაც ვუშვებთ, რომ ორ სხვადასხვა საზოგადოებაში ერთსა და იმავე ვერბალურ კონსტრუქტს ერთი და იგივე შინაარსი აქვს;

ეს მეთოდოლოგია მრავალრიცხოვანი განზოგადებების და დასკვნების საშუალებას იძლევა:

ა) შესაძლებელია ყოველ ცალკეულ საზოგადოებაში ამ სამი ტიპის ღირებულებებს შორის დამოკიდებულებების დადგენით მოხდეს საზოგადოებების ტიპების განსაზღვრა;

ბ) შესაძლებელია სამიზნე ღირებულების სტრუქტურის დადგენა შევუსაბამოთ საზოგადოების ტიპს, და დროში მიყოლებული კვლევების საშუალებით მოვახდინოთ მათი ცვლილების შედარება;" (თევზაძე).

თუმცა აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწისა და საზოგადოების შეიგნით დასკვნების გასაკეთებლად საჭიროა ჩატარდეს განმეორებითი კვლევა.

ბიბლიოგრაფია

1. Bell, Daniel. 1973. *The Coming of Post-Industrial Society*. New York: Basic Books.
2. Bell, Daniel .1976. *The Cultural Contradictions of Capitalism*. New York: Basic Books.
3. Freedom House www.freedomhouse.com
4. Higley, J. and Pakulski, A. 1992. "Revolution and Elite Transformation in Eastern Europe". *Australian Journal of Political Science*, vol. 27, pp. 104-119.
5. Huntington, Samuel. 1996. *The Clash of Civilizations and the Remarks of the World Order*. New Yourk, Simon&Schuster.
6. H. Spiegelberg, The Phenomenological Movement. A historical introduction (The Hague: Martinus Nijhoff, 2nd ed. 1971) at I: 85-87.
7. Inglehart, Ronald and Baker,E. Wayne. 2000. "Modernization, Cultural Change, and the Persistence of Traditional Values". *American Sociological Review* Vol. 65 (February:19-51) 19
8. Inglehart, Ronald. 1997. *Modernization and Postmodernization: Cultural, Economic and Political Change in Societies*. Princeton, NJ: Princeton University Press.
9. Inglehart, Ronald. 1977. *The Silent Revolution: Changing Values and Political Styles in Advanced Industrial Society*. Princeton, NJ: Princeton University Press.
10. Inglehart, Ronald and Kligemann, Hans-Dieter. 2000. *Gens, Culture, Democracy and Happiness*.
11. Inglehart, Ronald and Norris, Pippa. 2003. "The True Clash of Civilizations". *Foreign Policy*, March-April, 67-75.
12. Kluckhohn, Clyde. 1951. "Values and Value-orientations in the Theory of Action. An Exploration in Definition and Classification," In: *Parsons, T and Shils , A. (ed.), Toward a General Theory of Action*, pp. 390-415 Harvard.
13. Max Scheler's Phenomenology of Moral Action, by Eugene Kelly: http://cogito.ucdc.ro/nr_3/6
14. Max Scheler (German philosopher) -- Encyclopedia Britannica at www.britannica.com/EBchecked/topic/527193/Max-Scheler
15. National Democratic Institute www.ndi.org

16. The Crisis of European Sciences and Transcendental Phenomenology (1936) (original title; "Philosophy in the Crisis of European Mankind." (1935) – the last great work by Edmund Husserl).
17. The spiritual crisis of humanity and the endless struggle, by Jerome Roos: <http://roarmag.org/2011/11/from-the-spiritual-crisis-of-humanity-to-the-endless-struggle/>
18. Verba, S., Nei, N.H. and Kim J.-O. 1978. *Participation and Political Equality*. Cambridge, Cambredge University Press.
19. Welzel, Christian, Inglehart, Ronald and Klingemann, Hans-Dieter. 2003. "The theory of human development: A cross-cultural analysis". *European Journal of Political Research* 42: 341-379.
20. Rickert's Relevance : the Ontological Nature and Epistemological Functions of Values, by Anton C. Zijderveld. Leiden, 2006.
21. Ronald F. Inglehart: Value Change in Global Perspective, University of Michigan Press, 1995 (with Paul R. Abramson); Human Beliefs and Values: A Cross-Cultural Sourcebook based on the 1999-2002 values Surveys., Mexico City: Siglo XXI, 2004 (co-edited with Miguel Basanez, Jaime Deiz-Medrano, Loek Halman and Ruud Luijkx).
22. The Pew Research Center www.pewglobal.org
23. Value Formation and Postmaterialism: Inglehart's Theory of Value Change Reconsidered, by Thomas M. Trump: at <http://www.deepdyve.com/lp/sage/value-formation-and-postmaterialism-inglehart-s-theory-of-value-change.htm>
24. თარხნიშვილი ლევანი 2006 "საქართველო და თანამედროვე ღირებულებანი, ქართული საზოგადოების ღირებულებები, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს პუბლიკაციები, თბილისი, საქართველო
25. თევზაძე გიგი. 2006. "ღირებულებების სტრუქტურა" ქართული საზოგადოების ღირებულებები, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს პუბლიკაციები, თბილისი, საქართველო
26. ზედანია გიგა. 2006. "ღირებულებების სისტემატიური და შედარებითი კვლევა" ქართული საზოგადოების ღირებულებები, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს პუბლიკაციები, თბილისი, საქართველო
27. კავკასიური კვლევების რესურს ცენტრი www.crrcenters.com
28. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი www.geostat.ge

დანართი № 1

ბედნიერება, ცხოვრებით კმაყოფილება და სუბიექტური კეთილდღეობა 65 ქვეყანა (პროცენტი „ბედნიერი“ და „კმაყოფილი“ და მათი საშუალო მაჩვენებელი)

	უკანსკნელი გამოკვლევა	ბედნიერება	ცხოვრებით კმაყოფილება	შუბიექტური კეთილდღეობა
ისლანდია	1990	97	91	94.0
ნიდერლანდები	1990	93	92	92.5
დანია	1990	94	90	92.0
ჩრდილოეთ ირლანდია	1990	93	91	92.0
შვეიცარია	1996	95	89	92.0
ფინეთი	1996	92	91	91.5
შვეცია	1996	95	87	91.0
ირლანდია	1990	93	88	90.5
ნორვეგია	1996	94	86	90.0
ბელგია	1990	93	86	89.5
შეერთებული შტატები	1995	94	85	89.5
ავსტრალია	1995	94	85	89.5
ახალი ზელანდია	1998	95	84	89.5
პუერტო-რიკო	1995	91	86	88.5
ბრიტანეთი	1998	90	85	87.5
იტალია	1990	86	83	84.5
კანადა	1990	79	90	84.5
კოლუმბია	1997	90	77*	83.5
დასავლეთ გერმანია	1997	84	82	83.0
თაივანი	1995	89	76	82.5
სამხრეთ კორეა	1996	89	76*	82.5
საფრანგეთი	1990	92	72	82.0
იაპონია	1995	90	74	82.0
ავსტრია	1990	91	72	81.5
განა	1995	72	88	80.0
ვენესუელა	1995	93	66	79.5
ფილიპინები	1996	93	66	79.5
ესპანეთი	1996	87	70	78.5
ჩინეთი	1995	84	72	78.0
ურუგვაი	1996	81	75	78.0
არგენტინა	1995	83	72	77.5
ბრაზილია	1996	83	72	77.5
პაკისტანი	1997	83	72*	77.5
მექსიკა	1996	71	83	77.0
ჩილე	1996	80	74	77.0
ნიგერია	1995	81	71	76.0
აღმოსავლეთ გერმანია	1997	79	72	75.5

უნგრეთი	1981	78	71	74.5
პორტუგალია	1990	73	76	74.5
დომინიკის რესპუბლიკა	1996	74	75	74.5
პოლონეთი	1996	86	62	74.0
ბანგლადეში	1997	85	63	74.0
ინდოეთი	1996	77	67	72.0
თურქეთი	1996	90	54	72.0
ტამბოვი (რუსეთი)	1981	64	76	70.0
ჩეხეთი	1990	73	66	69.5
შლოვენია	1995	74	65	69.5
სამხრეთ აფრიკა	1996	79	56	67.5
ხორვატია	1995	70	62	66.0
უნგრეთი	1998	78	52	65.0
პერუ	1996	63	61	62.0
ბოსნია	1997	76	47	61.5
იუგოსლავია	1996	71	51	61.0
რუმინეთი	1990	62	57	59.5
აზერბაიჯანი	1995	78	41	59.5
მაკედონია	1996	63	49	56.0
შლოვაკია	1990	52	59	55.5
ლატვია	1996	71	36	53.5
ესტონეთი	1996	65	37	51.0
საქართველო	1996	65	35	50.0
ლიტვა	1996	57	40	48.5
რუსეთი	1990	52	44	48.0
ბულგარეთი	1998	57	33	45.0
სომხეთი	1995	57	29	43.0
რუსეთი	1995	52	44	39.5
ტამბოვი (რუსეთი)	1995	57	33	36.0
ბელარუსი	1996	46	24	35.0
უკრაინა	1996	48	20	34.0
მოლდოვა	1996	44	21	32.5

წყარო: მსოფლიო ღირებულებების კვლევა

შენიშვნა: შუბ-მ მოიპოვება როგორც ბედნიერების და ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი. * -

აღნიშნავს, რომ ქულა დათვლილია სხვა ცვლადის მონაცემებით. უნგრეთი და რუსეთი

(გამოყოფილია სქელი შრიფტით) ხასიათდებიან კომუნიზმის მარცხის ეფექტით 1981, 1990-91 და

1995-98 წწ. მონაცემებში. (ტამბოვის ოლქი 1981 წ.). ამკარად, ამ ქვეყნებში უფრო დიდი ცვლილებები

დაფიქსირდა, ვიდრე არაკომუნისტურ ქვეყნებში.

დანართი № 2 ღირებულებების სია

1. ადამიანის უფლებები	19. მთავრობა
2. არა-მართლმადიდებლური	20. ნათესაობა

<p>ეკლესიები</p> <p>3. ახალი ტექნოლოგიები</p> <p>4. ბუნების დაცვა</p> <p>5. განათლების სისტემა</p> <p>6. დასვენების/გართობის შესაძლებლობა</p> <p>7. ეკონომიკური სისტემა</p> <p>8. თავისუფალი ასოციაციები/გაერთიანებები</p> <p>9. თავისუფალი სექსი</p> <p>10. თქვენი სამუშაო</p> <p>11. კანონმდებლობა</p> <p>12. კანონმორჩილება</p> <p>13. კერძო ბიზნესი</p> <p>14. კერძო საკუთრება</p> <p>15. კოლექტივიზმი</p> <p>16. კულტურული მრავალფეროვნება</p> <p>17. მართლმადიდებელი ეკლესია</p> <p>18. მეგობრობის ინსტიტუტი</p>	<p>21. ოჯახი</p> <p>22. პარლამენტი</p> <p>23. პატრიოტიზმი</p> <p>24. პიროვნული თავსუფლება</p> <p>25. პოლიტიკური პარტიები</p> <p>26. პოლიცია</p> <p>27. რელიგიურობა</p> <p>28. სამართლიანობა</p> <p>29. სამშობლოსათვის თავგანწირვა</p> <p>30. სასამართლო სისტემა</p> <p>31. სასჯელაღსრულებითი სისტემა</p> <p>32. სახელმწიფო</p> <p>33. სკოლა</p> <p>34. ტრადიციები</p> <p>35. უნივერსიტეტი</p> <p>36. ქალიშვილობის ინსტიტუტი</p> <p>37. ქველმოქმედება</p> <p>38. შეიარაღებული ძალები</p> <p>39. შემწყნარებლობა</p>
--	---

დანართი № 3 გრაფიკები

გრაფიკი №1 პოლიტიკური სისტემების შეფასება	54
გრაფიკი №2 სოციალური ინსტიტუტების შეფასება	55
გრაფიკი №3 სოციალური ინსტიტუტების შეფასება	56
გრაფიკი №4 პიროვნული ნდობა	57
გრაფიკი №5 ადამიანების შეფასება.	58

გრაფიკი №6 რელიგიურობა	59
გრაფიკი №7 რელიგიური მიკუთვნებულობა	60
გრაფიკი №8 ეკლესიის როლი გადაწყვეტილების მიღებისას.	61
გრაფიკი №9 რელიგიის როლი გადაწყვეტილების მიღებისას.	62
გრაფიკი №10 რელიგიურ მსახურობაზე დასწრება.	63
გრაფიკი №11 რელიგიური გადაცემების ყურებადობა	64
გრაფიკი №12 რელიგიური ლიტერატურას კითხვის სიხშირე	65
გრაფიკი №13 რელიგია და ბავშვის აღზრდა.	66
გრაფიკი №14 ეთნიკური წარმოშობა	67
გრაფიკი №15 განსხვავებული ჯგუფების მიმართ ტოლერანტობა ..	68
გრაფიკი №16 სამუშაო ადგილები და გენდერი	69
გრაფიკი №17 ცხოვრების მიზანი	70
გრაფიკი №18 შვილების ოდენობა და გენდერი	71
გრაფიკი №19 დევიაციური ქცევა.	72
გრაფიკი №20 მარტოხელა მშობელი და შვილი	73
გრაფიკი №21 სოციალური ლიდერების შეფასება.	74
გრაფიკი №22 სოციალური ინსტიტუტების შეფასება	75

